


ლევ ტოლსტოი

# მამა სერგი



[www.pdf.chiatura.info.ge](http://www.pdf.chiatura.info.ge)

## მამა სერგი

I

პეტერბურგში ორმოციანი წლებში<sup>1</sup> მომხდარმა მოვლენამ ყველა გააოცა: ლამაზი და წარმოსადეგი თავადი, კირასირთა<sup>2</sup> პოლკის ლეიბ-ესკადრონის მეთაური, რომელსაც ფლიგელ-ადიუტანტობასა და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის კარზე ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, იმპერატორის მეუღლის ფავორიტთან, უმშვენიერეს ფრეილინასთან ქორწილამდე ერთი თვით ადრე სამსახურიდან გადადგა. ეგ კიდეც არაფერი. მან საცოლესთან ყოველგვარი კავშირი განყვიტა, საკუთარი პატარა მამული თავის დას გადასცა და, ბერად აღკვეცის მიზნით, მონასტერში წავიდა. თუ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ეს უჩვეულო საქციელი ვერაფრით აეხსნათ, თვითონ თავად სტეპან კასატსკისთვის ყველაფერი ისე ბუნებრივად მოხდა, რომ სხვა ნაბიჯის გადადგმა მას თავში აზრადაც არ მოსვლია.

სტეპან კასატსკი მხოლოდ თორმეტი წლის იყო, როდესაც მამა, გვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკი გარდაეცვალა. დედამ განსვენებული მეუღლის ანდერძის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა და ვაჟიშვილი კადეტთა კორპუსში შეიყვანა, თუმცა მასთან განშორება გულს უკლავდა. ის კი მოახერხა, რომ ქალიშვილ ვარვარასთან ერთად თვითონაც პეტერბურგ-

---

<sup>1</sup> იგულისხმება XIX საუკუნის ორმოციანი წლები.

<sup>2</sup> კირასირთა პოლკი — კავალერიის პოლკი.

ში გადავიდა, რათა ბიჭის სიახლოვეს ყოფილიყო და დღესასწაულებზე შინ წამოეყვანა.

თანდაყოლილი ნიჭიერებისა და ზღვარგადასული თავმოყვარეობის გამო ყმანვილი პირველი იყო როგორც სამეცნიერო საგნებში, განსაკუთრებით მათემატიკაში, რომელიც გამორჩეულად უყვარდა, ასევე სამხედრო დისციპლინებსა და ცხენოსნობაში. ასაკთან შედარებით მაღალს არც სილამაზე და სიმარჯვე აკლდა. არ სვამდა, გარყვნილ ცხოვრებას არ ეწეოდა. ეს გულმართალი ახალგაზრდა ყოფაქცევითაც სანიმუშო კადეტი იქნებოდა, რომ არა მისი სიფიცხე. ზოგჯერ ისე განრისხდებოდა ხოლმე, რომ თავს ველარ იკავებდა და მხეცს ემსგავსებოდა. ერთი კადეტი, მისი მინერალების კოლექცია დამცინავად რომ მოიხსენია, კინალამ ფანჯრიდან გადააგდო. ერთხელაც ლამის თავი დაიღუპა: კატლეტიანი თეფში ეკონომს ესროლა, ოფიცერს მიეჭრა და, როგორც ამბობდნენ, იმისთვის დაარტყა, რომ მან თავხედურად იცრუა და თავის სიტყვებზე უარი განაცხადა. კიდევ კარგი, რომ კორპუსის დირექტორმა საქმეს მსვლელობა აღარ მისცა და ეკონომი დაითხოვა, თორემ ჯარისკაცად ჩამოქვეითებას ვერ გადაურჩებოდა.

თვრამეტი წლისა ოფიცრად გაუშვეს გვარდიელთა არისტოკრატიულ პოლკში. იმპერატორი ნიკოლოზ პავლოვიჩი მას ჯერ კიდევ კორპუსში სწავლის პერიოდიდან იცნობდა, პოლკშიც გამორჩეული ჰყავდა სხვებისგან, ასე რომ, ფლიგელ-ადიუტანტობამდე ბევრი აღარ აკლდა. ეს თვითონ კასატსკისაც ძლიერ სურდა, არა იმდენად პატივმოყვარეობის ჭიის დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც იმიტომ, რომ კადეტობიდანვე მგზნებარედ, სწორედ რომ მგზნებარედ უყვარდა იმპერატორი. კორპუსში ნიკოლოზ პავლოვიჩის ყოველ მოსვლაზე, — ის კი მათ ხშირად სტუმრობდა, — როგორც კი სამხედრო სერთუკში გამოწყობილი მაღალი, უღვაშიანი ფიგურა წინ წამონეული მკერდით, კეხიანი ცხვირითა

და შეჭრილი ბაკენბარდებით მხნედ შემოაბიჯებდა და ახალგაზრდებს მძლავრი ხმით ესალმებოდა, კასატსკის ქალზე შეყვარებული ჭაბუკის აღფრთოვანება ეუფლებოდა. უფრო მეტიც კი: სურდა ნიკოლოზ პავლოვიჩისთვის უსაზღვრო ერთგულება დაენახვებინა, თავიც კი გაეწირა. იმპერატორმა ეს მშვენივრად იცოდა, განზრახ უწყობდა კიდეც ხელს ამ აღფრთოვანების გაღვივებას — კადეტების წრეში ტრიალეზდა, თამაშობდა, მათ ხან ბავშვურად მიმართავდა, ხან — მეგობრულად, ხანაც — საზეიმო, დიდებული ხმით. ოფიცერთან დაკავშირებულ ბოლო შემთხვევაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, მაგრამ მასთან მიახლოებულ ჭაბუკს თავი თეატრალურად აარიდა და სახემოღუშულმა თითი დაუქნია, წასვლისას კი უთხრა:

— იცოდეთ, რომ ყველაფრის საქმის კურსში ვარ, მაგრამ ზოგიერთი რამის ცოდნა არ მსურს. თუმცა ისინი აქაა.

მან ხელი გულზე მიიდო.

როდესაც სწავლადამთავრებული კადეტები იმპერატორს ეახლნენ, მას ძველი ამბავი აღარ უხსენებია, ჩვეულებისამებრ, უთხრა, რომ თითოეულ მათგანს ყოველთვის შეეძლო მისთვის პირდაპირ მიემართა, რომ მუდამ მათი უპირველესი მეგობარი იქნებოდა, სანაცვლოდ კი მის და სამშობლოს ერთგულებას სთხოვდა. მისი ნათქვამი ყველამ გულთან ახლოს მიიტანა, კასატსკიმ კი, რომელსაც წარსული კარგად ახსოვდა, ცრემლებიც გადმოყარა და ფიცი დადო, საყვარელი ხელმწიფის სამსახურში თავს არ დავზოგავო.

როგორც კი ვაჟიშვილი პოლკში შევიდა, დედა საცხოვრებლად ქალიშვილთან ერთად ჯერ მოსკოვში გადავიდა, შემდეგ კი — სოფელში. კასატსკიმ დას საკუთარი ქონების ნახევარი მისცა და ის, რაც დარჩა, მხოლოდ მდიდრულ პოლკში თავის შესანახად თუ ეყოფოდა.

გარეგნულად კასატსკი ჩვეულებრივ ახალგაზრდა, შესანიშნავ გვარდიელს ჰგავდა, რომელიც კარიერას იკეთებ-

და, მაგრამ მის სულში რთული და დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. ეს, როგორც ჩანს, მრავალფეროვანი, მაგრამ, არსებითად, ერთი და იგივე პროცესი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაწყებულიყო და იმაში გამოიხატებოდა, რომ ნებისმიერ საქმეში სრულყოფილებისა და წარმატებისთვის უნდა მიეღწია, რასაც ხალხის გაოცება და მათი მხრიდან შექება უნდა გამოეწვია. სწავლება იქნებოდა ეს თუ მეცნიერება, ყველაფერს გატაცებით ჰკიდებდა ხელს და იქამდე მუშაობდა, სანამ არ შეაქებდნენ და სხვებს მაგალითად არ დაუსახავდნენ. როგორც კი თავისას მიაღწევდა, მაშინვე სხვა საქმეზე გადაერთვებოდა. ასე მოიპოვა პირველობა სამეცნიერო დისციპლინებში. კადეტად ყოფნისას საკუთარი ფრანგული არ მოეწონა და იმდენი ჰქნა, რომ მშობლიური რუსულივით დაეუფლა. შემდეგ ჭადრაკმა გაიტაცა და ჯერაც ყმანვილი უკვე შესანიშნავად თამაშობდა.

ცხოვრებაში მთავარი დანიშნულების — მეფისა და სამშობლოსადმი მსახურობის გარდა, ყოველთვის ჰქონდა დასახული კიდევ რაიმე მიზანი და როგორი უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო იგი, მთელი არსებით მასში იყო ჩაფლული და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა. შემდეგ კი მის გონებაში სხვა აზრი ჩნდებოდა და ძველის ადგილს იკავებდა. მისი ცხოვრების მთავარ არსს თავის გამოჩენის ეს სურვილი და ამისათვის დასახული მიზნის მიღწევა შეადგენდა. მას შემდეგ, რაც ოფიცერი გახდა, მიზნად სამსახურებრივი ცოდნის სრულყოფა დაისახა და ძალიან მალე თავის საქმეში სამაგალითო გახდა, თუმცა სიფიცხეს კვლავაც ვერაფერს უხერხებდა, რამაც წარმატებისკენ მიმავალ გზაზე გარკვეული დაბრკოლებები შეუქმნა. მაღალ საზოგადოებაში საუბრისას საკუთარი ზოგადი განათლების უკმარისობა იგრძნო, მის აღმოსაფხვრელად წიგნებს ჩაუჯდა და მანამ არ მოეშვა, სანამ თავისას არ მიაღწია. ამის მერე მიზანში ამ მაღალ საზოგადოებაში საუკეთესო ადგილის დამკვიდრება ამოიღო, შესა-

ნიშნავად ცეკვა ისწავლა და სულ ცოტა ხანში მაღალი წრის მეჯლისებისა და განსაკუთრებული საღამოების სასურველი სტუმარი გახდა. მაგრამ ამან ვერ დააკმაყოფილა — პირველობას მიჩვეული გრძნობდა, რომ ამ საქმეში იქამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.

მაღალი საზოგადოება იმ დროს ოთხი ტიპის ადამიანებისგან შედგებოდა, ჩემი აზრით კი ყოველთვის და ყველგან ასეა. ესენი არიან: 1) მდიდრები და დიდებულები; 2) ხელმოკლე, მაგრამ მეფის კარზე დაბადებული და გაზრდილი ადამიანები; 3) დიდებულებისადმი მლიქვნელურად განწყობილი მდიდრები და 4) პირველი და მეორე ჯგუფისადმი პირფერულ დამოკიდებულებაში მყოფი ხელმოკლე და წარმოშობით დაბალ საფეხურზე მყოფი პირები. კასატსკი პირველს არ მიეკუთვნებოდა, ბოლო ორ წრეში კი სიამოვნებით ლებულობდნენ. როდესაც მაღალ საზოგადოებაში შეაბიჯა, მიზნად ამავე წრის ქალთან დაკავშირება დაისახა და, თავისდა მოულოდნელად, ამას სწრაფად მიაღწია. ძალიან მალე მიხვდა, რომ ის ხალხი, ვისთანაც ძირითადად ურთიერთობდა, უმდაბლეს ფენებს მიეკუთვნებოდა, არსებობდა უმაღლესი, დიდებულთა ფენაც, სადაც მას, მართალია, ლებულობდნენ და თავაზიანად ექცეოდნენ, მაგრამ უცხოოდ მიიჩნევდნენ, თავისიანად არ თვლიდნენ. კასატსკიმ ამის გამოსწორება მოინდომა, რისთვისაც ან ფლიგელ-ადიუტანტი უნდა გამხდარიყო, — იგი ამას ელოდა კიდევ, — ან ამ წრის ქალზე უნდა დაქორწინებულიყო. გადანყვიტა, რომ ამასაც შეძლებდა. და შეარჩია კიდევ ქალიშვილი, მზეთუნახავი სეფექალი, არათუ თავისიანი იმ საზოგადოებაში, რომლისკენაც თვითონაც მიისწრაფოდა, არამედ ისეთი, რომელთან დაახლოებასაც თვით უმაღლეს საზოგადოებაში მყარად მდგარი ადამიანებიც კი ცდილობდნენ. ეს გახლდათ გრაფინია კოროტკოვა. კასატსკი მისი გულის მონადირებას მხოლოდ კარიერის გამო როდი აპირებდა — მას მალე შეუყვარდა კიდევ ეს უჩვეულოდ მიმზიდველი გრა-

ფინია. თავდაპირველად ქალი მისდამი გულცივობას იჩენდა, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა, იგი ალერსიანი გახდა, დედამისი კი ახალგაზრდა კაცს დაჟინებით იწვევდა ხოლმე თავისთან.

კასატსკიმ ქალს ხელი სთხოვა და თანხმობა მიიღო. ერთი პირობა კი გააოცა მცირე ძალისხმევამ, რომლითაც ამგვარ ბედნიერებას მიაღწია, აგრეთვე ქალიშვილისა და დედამისის მხრიდან მის მიმართ ცოტა არ იყოს განსაკუთრებულმა და უცნაურმა დამოკიდებულებამ, მაგრამ შეყვარებული და სიყვარულით დაბრმავებული იყო და ამიტომაც ვერ შეამჩნია ის, რაც თითქმის მთელმა ქალაქმა იცოდა, კერძოდ ის, რომ მისი საცოლვე ამ ამბებამდე ერთი წლით ადრე ნიკოლოზ პავლოვიჩის საყვარელი გახლდათ.

## II

ქორწილამდე ორი კვირით ადრე კასატსკი ცარსკოე სელოში<sup>1</sup> საცოლის აგარაკზე იმყოფებოდა. მათის ცხელი დღე იდგა. ბაღში სიარულის შემდეგ სიძე-პატარძალი ცაცხვების ხეივნის ჩრდილში ძელსკამზე ჩამოჯდა. მერის მარმამის თეთრი კაბა განსაკუთრებით უხდებოდა. თავიდან ფეხებამდე უმანკობასა და სიყვარულს განასახიერებდა. იჯდა და ხან ძირს იყურებოდა, ხანაც ახოვან მზეჭაბუკს შეავლებდა თვალს, რომელიც საოცარი სინაზითა და სიფრთხილით ესაუბრებოდა მას, თითქოს ეშინოდა, რომ რაიმე ჟესტით უნებურად შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, საცოლის ანგელოზური სინმინდე არ შეეზილნა. კასატსკი ორმოციანი წლების იმ ადა-

---

<sup>1</sup> ცარსკოე სელო — რუსეთის იმპერატორის ოჯახისა და მონწეულ დიდგვაროვანთა ყოფილი რეზიდენცია სანქტ-პეტერბურგის ცენტრიდან 24 კმ-ში.

მიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა, — ასეთები ჩვენს დროში აღარ არიან, — რომლებიც სქესობრივი ცხოვრების უწმინდურობას თავისთვის შეგნებულად დასაშვებად მიიჩნევდნენ და ამას შინაგანად არც კიცხავდნენ, ცოლისგან კი იდეალურ, ციურ სისუფთავეს მოითხოვდნენ, თავისი წრის ყოველ ქალიშვილში ამას ხედავდნენ და შესაბამისადაც ექცეოდნენ. ბევრი რამ იყო არასწორი და მავნე ამ შეხედულებაში, იმ გარყვნილი ცხოვრების წესში, რომლის უფლებასაც მამაკაცები საკუთარ თავს აძლევდნენ, მაგრამ ქალებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მათ მკვეთრად განასხვავებდა ახლანდელი ახალგაზრდა ყმაწვილებისგან, რომლებიც ყოველ ქალში მამრი მეგობრის მაძებარ ძუკნას ხედავენ, და ამას გარკვეული სარგებლობაც მოჰქონდა — ქალიშვილები, ხედავდნენ რა, რომ მათ აღმერთებდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ ღმერთქალებთან მიახლოებას. აი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კასატსკის ქალებისადმი და თავის საცოლესაც სწორედ ასე უყურებდა. ამ დღეს მას სიყვარული განსაკუთრებით მოძალეობდა და მერისადმი ბინიერი ლტოლვის ნატამალსაც ვერ გრძნობდა, პირიქით, ქალიშვილს, როგორც მიუღწეველ არსებას, გულაჩუყებული მისჩერებოდა.

იგი წამოდგა, ქალის წინ დადგა და ორივე ხელით ხმალს დაეყრდნო.

— მხოლოდ ახლა შევიგრძენი, თუ რაოდენ ბედნიერი შეიძლება იყოს ადამიანი. და ეს თქვენ... შენ განმაცდევინე! — თქვა მან მორიდებული ღიმილით.

კაცს ის პერიოდი დასდგომოდა, როდესაც საცოლესთან „შენობით“ ლაპარაკს ჯერ ვერ მისჩვეოდა, ეს სიტყვა საშინლად ეხამუშებოდა და ქალს ზნეობრივად ქვემოდან ზემოთ შესცქეროდა.

— საკუთარი თავი... შენი წყალობით შევიცანი, მივხვდი, რომ უკეთესი ვარ, ვიდრე ვფიქრობდი.

— მე ეს დიდი ხანია ვიცი. ამიტომაც შემიყვარდით...

სადღაც ახლოს ბულბულმა დაუსტვინა, მონაქროლმა სი-  
ომ ახალი ფოთლები შეარხია.

კაცმა ქალის ხელი აიღო და ეამბორა, თვალებზე ცრემ-  
ლები მოადგა. გრაფინია მიხვდა, რომ საქმრო მადლობას უხ-  
დიდა იმის თქმისთვის, რომ იგი უყვარდათ. კასატსკიმ რამდე-  
ნიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარა, შემდეგ ქალთან დაბრუნდა და  
დაჯდა.

— თქვენ იცით, შენ იცი, ახლა ეს სულერთია. მე შენ უან-  
გაროდ როდი დაგიახლოვდი, მაღალ საზოგადოებასთან კავ-  
შირის დამყარება მსურდა, მაგრამ მერე... როდესაც გაგიცანი,  
სხვა ყველაფერი საოცრად უმნიშვნელოდ მომეჩვენა. ხომ არ  
მიბრაზდები ამის გულისთვის?

ქალმა არაფერი თქვა, მხოლოდ ხელზე ხელით შეეხო.

კაცი მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა: „არა, არ გიბრაზდები“.

— აი, შენ მითხარი... — კასატსკი შეყოყმანდა, სათქმე-  
ლი თავხედობად მოეჩვენა, მაგრამ განაგრძო: — შენ მითხარი,  
რომ შეგიყვარდი. მაპატიე, მაგრამ მჯერა, რომ არის კიდევ  
რალაც, რაც გაშფოთებს და ხელს გიშლის. რა არის ეს?

„ღიახ, ახლა ან არასდროს, — გაიფიქრა ქალმა, — ადრე  
თუ გვიან, მაინც გაიგებს. ახლა კი არ ნავა. ოჰ, რომ ნავიდეს,  
საშინელება იქნებოდა!“

მან სიყვარულით აღსავსე მზერა შეავლო კაცის ახოვან,  
კეთილშობილ, მძლავრ ფიგურას. ახლა იგი ნიკოლოზზე მე-  
ტად უყვარდა და რომ არა იმპერატორობა, მასზე არც გაცე-  
ლიდა.

— მომისმინეთ. არ შემიძლია, რაიმე დაგიმალოთ. ყველა-  
ფერი უნდა გითხრათ. ხომ შემეკითხეთ, ეს რა არისო? ის, რომ  
მიყვარდა.

ქალმა კაცს ხელზე ხელი მავედრებელი ჟესტით დაადო.

კასატსკი დუმდა.

— გაინტერესებთ, ვინ იყო? ღიახ, ის, ხელმწიფე.

— ის ყველას გვიყვარს. წარმომიდგენია, თქვენ ინსტიტუტში...

— არა, შემდეგ. ეს გატაცება იყო, მერე გამიარა. მაგრამ უნდა გითხრათ...

— აბა, რა არის კიდევ?

— არა, ეს ასე უბრალოდ არ დამთავრებულა.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა.

— როგორ? თქვენ მისი გახდით?

ქალი ხმას არ იღებდა.

— მისი საყვარელი იყავით?

კვლავ დუმილი.

კაცი წამოხტა და საცოლის წინაშე მკვდარივით გაფითრებული შედგა, ლანვები უცახცახებდა. ახალა გაახსენდა ნევსკის პროსპექტზე ნიკოლოზ პავლოვიჩთან შეხვედრა, როდესაც მან ალერსიანად მიულოცა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე, სტივია!

— არ მომეკაროთ, არ შემეხოთ. ოჰ, რა მტკივნეულია!

კაცი შეტრიალდა და სახლისკენ გაემართა. იქ მას ქალიშვილის დედა შეხვდა.

— რა დაგემართათ, თავადო? მე... — მას სიტყვა გაუნყვდა, რადგან კაცს სახე შეეცვალა და ჭარხალივით გაუნითლდა.

— თქვენ ეს იცოდით და ჩემი დახმარებით ამის შენიღბვა გსურდათ. ქალები რომ არ იყოს... — შესძახა კასატსკიმ, ქალის თავზე უზარმაზარი მუშტი აღმართა, მერე ზურგი აქცია და გაიქცა.

მისი საცოლის ყოფილი საყვარელი ჩვეულებრივი მოკვდავი რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად მოკლავდა, მაგრამ ის ხომ სათაყვანო მეფე გახლდათ.

მეორე დღესვე შვებულებაში გავიდა, სამსახურიდან გადადგა, ავადმყოფობა მოიმიზება, არავინ რომ არ ენახა და სოფელში გაემგზავრა.

ზაფხული იქ გაატარა — თავის საქმეებს აწესრიგებდა. ზაფხულის გასვლის შემდეგ, პეტერბურგში დაბრუნების ნაცვლად, მონასტერში წავიდა და ბერად შედგა.

დედამ წერილი მისწერა, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისგან თავშეკავებას ურჩევდა. შვილმა უპასუხა, რომ ღმერთის მოწოდება ყველა მოსაზრებაზე მაღლა იდგა, ის კი ამას აშკარად გრძნობდა. მისი მხოლოდ მასავით ამაყსა და პატივმოყვარე დას ესმოდა.

ქალი ხვდებოდა — იგი ბერად იმიტომ შედგა, რათა იმ ადამიანებზე მაღლა აღმოჩენილიყო, რომლებსაც მისთვის იმის ჩვენება სურდათ, ჩვენზე დაბლა დგახარო. და ამაში არ ცდებოდა. ბერად აღკვეცით ძმა უსიტყვოდ აღიარებდა, რომ ყველაფერი ეზიზღებოდა, რაც სხვებსაც და თვითონაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა, როდესაც მსახურობდა და ისეთ სიმალეებს აღწევდა, საიდანაც ზემოდან დაჰყურებდა მათ, ვისიც ოდესღაც შურდა. მაგრამ იგი მხოლოდ ამ გრძნობით როდი ხელმძღვანელობდა, როგორც ამას მისი და, ვარენკა ფიქრობდა. მასში სხვა რამეც იყო, ჭეშმარიტად რელიგიური გრძნობა, — ამის შესახებ დამ არაფერი უწყობდა, — რომელიც სიამაყესა და პირველობის სურვილს გადახლართოდა. მერის (საცოლის) გამო იმედგაცრუება, რომელიც ანგელოზად წარმოედგინა და შეურაცხყოფა იმდენად ძლიერი იყო, რომ სასონარკვეთილებში ჩავარდა. სასონარკვეთილებამ კი საით წაიყვანა? ღმერთისკენ, ბავშვური რწმენისკენ. რომელიც მასში არასდროს გამქრალა.

კასატსკი მონასტერში ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის საფარველის დღეს<sup>1</sup> შევიდა.

მონასტრის წინამძღვარი აზნაური, სწავლული მწერალი და ბერი იყო, ანუ იმ მემკვიდრეობითობას წარმოადგენდა, რომელიც ვლახეთიდან, არჩეული ხელმძღვანელისა და მასწავლებლისადმი უდრტვინველად დამორჩილებული ბერებიდან მომდინარეობდა. ილუმენი ცნობილი ბერის, ამბროსის მონაფე გახლდათ, რომელიც მაკარის, ის კი თავის მხრივ ბერი ლეონიდეს, ეს უკანასკნელი კი პაის ველიჩკოვსკის მონაფედ ითვლებოდა. სწორედ ამ ილუმენს, როგორც თავის ბერს, დაემორჩილა კასატსკი.

იგი მონასტერშიც აცნობიერებდა საკუთარ უპირატესობას სხვებთან შედარებით, და ყველა საქმის მსგავსად, რომელსაც ხელს ჰკიდებდა, აქაც პოულობდა სიხარულს როგორც უდიდესი გარეგნული, ისე შინაგანი სრულყოფის მიღწევის პროცესში. პოლკში იგი არა მარტო უზადო, არამედ ისეთი ოფიცერი იყო, რომელიც საჭიროზე მეტს აკეთებდა და სრულყოფილების ჩარჩოებს აფართოებდა. მონასტერშიც ამისკენ მიილტვოდა; დღენიადაგ მშრომელი, თავშეკავებული, თავმდაბალი, თვინიერი, სუფთა არა მარტო საქმეში, არამედ ფიქრებშიც, აგრეთვე მორჩილი. ცხოვრებას განსაკუთრებით ბოლო თვისება, ანუ სრულყოფილება უადვილებდა. ქალაქთან ახლოს მდებარე და მომსვლელებით განებივრებულ მონასტერში ბერული ცხოვრების ბევრი მოთხოვნა არ მოსწონდა, ცდუნებას აღუძრავდა, მაგრამ მორჩილება ამ ყველაფერს ანადგურებდა: რა ჩემი საქმეა მსჯელობა, მე მხოლოდ დანიშნული საკანონოს შესრულება მმართვეს, იქნება ეს წმინდა ნაწილებთან დგომა, კლიროსზე გალობა თუ

<sup>1</sup> ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის საფარველი — 1/14 ოქტომბერი და 30 ივნისი/13 ივლისი.

სასტუმროს ანგარიშების წარმოებაო. რაიმეში დაეჭვების ნებისმიერი შესაძლებლობა ადვილად უქრებოდა ბერისადმი მორჩილებით. რომ არა ეს, გაუჭირდებოდა ხანგრძლივი და ერთფეროვანი საეკლესიო წირვების მოსმენა, მომსვლელთა ფუსფუსისა და ძმობის ცუდი თვისებების ყურება, მაგრამ ამ გზით ყველაფერს სიხარულით უმკლავდებოდა, ეს ცხოვრებაში ნუგეშსა და მხარდაჭერასაც აგრძნობინებდა. „არ ვიცი, რატომ უნდა ვისმინო დღეში რამდენჯერმე ერთი და იგივე ლოცვა, მაგრამ ვიცი, რომ ასეა საჭირო და რადგან ვიცი, რომ საჭიროა, მასში სიხარულს ვპოულობ“. ბერმა უთხრა, რომ როგორც სხეულს ესაჭიროებოდა მატერიალური საკვები, ასევე სულიერი ცხოვრებითვისაც აუცილებელი იყო სულიერი საზრდო — საეკლესიო ლოცვა. მას სწამდა ამის, და მართლაც, საეკლესიო წირვა, რომლის მოსასმენადაც ზოგჯერ დილაადრიან ადგომა უჭირდა, მას სიმშვიდესა და სიხარულს ანიჭებდა. სიხარულს თავმდაბლობის შეგნება და ბერის მიერ განსაზღვრული ქცევების უდავობა იწვევდა. ცხოვრების ინტერესს კი არა მხოლოდ საკუთარი ნებისყოფისადმი სულ უფრო მეტი მორჩილება, სულ უფრო მეტი თავმდაბლობა წარმოადგენდა, არამედ ყველა ქრისტიანული სათნოების მიღწევა, რომლებიც თავდაპირველად მარტივად განსახორციელებელი ეგონა. საკუთარი მამული მთლიანად მონასტერს გადასცა და ამას არც ნანობდა, სიზარმაცე ახლოსაც არ ეკარებოდა. უმდაბლესთა წინაშე თავმდაბლობა ოდნავადაც არ უჭირდა, პირიქით, ეს სიხარულსაც ჰგვრიდა. ავხორცობის, სიხარბისა და მრუშობის ცოდვის დაძლევა იოლად მოახერხა. ბერი განსაკუთრებით ამ ცოდვის ჩადენისგან აფრთხილებდა, მაგრამ კასატსკის უხაროდა, რომ ამისგან თავისუფალი იყო.

მხოლოდ საცოლის გახსენება აწვალებდა. და არა მარტო გახსენება, არამედ იმის ცოცხლად წარმოდგენაც, რაც შესაძლებელია, რომ მომხდარიყო. უნებურად თვალწინ წარ-

მოუდგა ნაცნობი ქალი, მეფის ფავორიტი, რომელიც შემდეგ გათხოვდა და შესანიშნავი დედა და მეუღლე გახდა. ქმარს მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, არც ძალაუფლება და პატივისცემა აკლდა და კარგი, ცოდვებმონანიებული ცოლიც ჰყავდა.

კარგ განწყობაზე მყოფ კასატსკის ეს აზრები ოდნავადაც არ აცბუნებდა. პირიქით, უხაროდა, რომ ამ საცდურებს თავი დააღწია. მაგრამ ისეთი წუთებიც იყო, როდესაც ყველაფერი, რითაც ცხოვრობდა, უფერულდებოდა. მართალია, რწმენას არ კარგავდა, ოღონდ ამას ველარ ხედავდა, გონებაში ველარ აცოცხლებდა, მოგონებებისა და — თქმაც კი საშინელია — სინანულის ტყვეობაში ექცეოდა.

ამ მდგომარეობიდან თავის დახსნა კვლავაც მორჩილება იყო — შრომა და მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი ლოცვა. ისიც, წესისამებრ, ლოცულობდა, ჩვეულებრივზე დიდხანსაც კი, თავს მიწამდე ხრიდა, მაგრამ ყოველივე ამას სხეულით აკეთებდა, სულიერების გარეშე. ეს ერთი, ზოგჯერ ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, შემდეგ კი ყველაფერი თავისით გაივლიდა ხოლმე. მაგრამ ამ ერთ-ორ საშინელ დღეს ხომ გაძლება უნდოდა. კასატსკი გრძნობდა, რომ საკუთარ თავზე ან ღმერთზე კი არა, რაღაც უცხო ძალაზე იყო დამოკიდებული. ასეთ დროს მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო და აკეთებდა კიდევ, რათა გაეძლო, რასაც ბერი ურჩევდა — ლოცულობდა და ელოდებოდა. საერთოდ, მთელი ამ ხნის მანძილზე კასატსკი არა თავისი, არამედ ბერის ნების მიხედვით ცხოვრობდა და ამ მორჩილებაში განსაკუთრებულ სიმშვიდეს პოულობდა...

ასე გაატარა პირველ მონასტერში კასატსკიმ შვიდი წელი. მესამე წლის ბოლოს მღვდელ-მონაზვნად აღიკვეცა და მამა სერგი გახდა. ეს აღკვეცა მისთვის მნიშვნელოვანი შინაგანი მოვლენა იყო. ზიარების მიღებისას ადრეც უდიდეს შვებასა და სულიერ აღმავლობას გრძნობდა; ახლა კი, როდესაც

ზოგჯერ თვითონ უნევდა მღვდელმსახურება, კვეთის<sup>1</sup> აღსრულება მასში აღფრთოვანებას ინვევდა და გულს უჩვილებდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს გრძნობა თანდათან მისუსტდა და ერთხელ, როდესაც გულდამძიმებულს მოუხდა ამ მოვალეობის შესრულება, იგრძნო, რომ ესეც გაუვლიდა. და მართლაც, გრძნობა მინავლდა, მხოლოდ ჩვეულება დარჩა.

უნდა ითქვას, რომ მონასტრული ცხოვრების მეშვიდე წელს მამა სერგიმ მოიწყინა. ყველაფერი, რაც უნდა შეესწავლა, შეისწავლა, მისაღწევსაც მიაღწია — მეტი რაღა ექნა.

სამაგიეროდ, მიძინების მდგომარეობა იკრებდა ძალას. მან დედის გარდაცვალებისა და მერის გათხოვების შესახებ შეიტყო. ორივე ამბავს გულგრილად შეხვდა. მისი ყურადღებისა და ინტერესის საგანს მხოლოდ საკუთარი შინაგანი ცხოვრება შეადგენდა.

ბერობის მეოთხე წელს მღვდელმთავარმა განსაკუთრებით დაუყვავა, ბერმა კი უთხრა, რომ თუ მაღალ თანამდებობას შესთავაზებდნენ, უარი არ უნდა ეთქვა. და მაშინ მასში სწორედ იმ ბერულმა პატივმოყვარეობამ იფეთქა, რომელიც ასე ეზიზღებოდა სხვებში. იგი დედაქალაქთან ახლოს მდებარე მონასტერში გადაიყვანეს. უარის თქმა სურდა, მაგრამ ბერმა დათანხმება უბრძანა. რაღას იზამდა — განწესებას დაემორჩილა, ბერს დაემშვიდობა და სხვა მონასტერში გადავიდა.

დედაქალაქის მონასტერში გადასვლა მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა სერგის ცხოვრებაში. მან მთელი ძალა ნაირნაირი საცდურისგან თავის დასაღწევად მიმართა.

თუ უწინდელ სამყოფელში ქალის სახე სერგის იშვიათად ტანჯავდა, აქ ამ საცდურმა საშინელი ძალით იჩინა თავი და იქამდე მივიდა, რომ გარკვეული ფორმაც კი მიიღო. ცუდი ყოფაქცევით ცნობილმა ერთმა ქალმა სერგის ლაციცი და-

---

<sup>1</sup> კვეთა (პროსკომიდია) — ლიტურგიის პირველი ნაწილი, რომელზეც მზადდება მასალა წმიდა საიდუმლოს შესასრულებლად.

უნყო. იგი მას გამოელაპარაკა და სთხოვა, სწვეოდა. სერგიმ მკაცრი უარი კი სტკიცა, მაგრამ მასში ქალის დაუფლების სურვილმა ისე აშკარად გაიღვიძა, ლამის თავზარი დაეცა. შეშინებულმა ამის შესახებ ბერს მისწერა, ესეც არ იკმარა, თავის ახალგაზრდა მორჩილს უხმო, სირცხვილს სძლია, თავისი სისუსტე გაანდო და სთხოვა, რომ მისთვის თვალყური ედევნებინა და არსად გაეშვა — მხოლოდ წირვასა და საკანონოს შესრულებაზე.

სერგისთვის კიდევ ერთი უდიდესი საცდური ის იყო, რომ ამ მონასტრის ილუმენი, მაღალი საზოგადოებიდან გამოსული მარჯვე ადამიანი, რომელიც საეკლესიო კარიერას იკეთებდა, სასტიკად არ ესიმპათიურებოდა. როგორ არ ებრძოდა მამა სერგი საკუთარ თავს, ამ ანტიპათიას ვერაფერი მოუხერხა. გარეგნულად თვინიერებას იჩენდა, მაგრამ გულის სიღრმეში გამუდმებით კიცხავდა. და ამ ცუდმა გრძნობამ ფესვები გაიდგა.

ეს ახალ მონასტერში ყოფნის მეორე წელს მოხდა. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საფარველის დღეს დიდ ეკლესიაში ლამის ლიტურგია მიმდინარეობდა. ტაძარს უამრავი ხალხი მოაწყდა. თვით ილუმენი სწირავდა. მამა სერგი ჩვეულ ადგილზე იდგა და ლოცულობდა, ანუ ბრძოლაში იყო ჩართული, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით დიდ ეკლესიაში, როდესაც თვითონაც მსახურებდა. ეს ბრძოლა იმაში გამოიხატებოდა, რომ მას მნახველები, ბატონები, განსაკუთრებით კი ქალბატონები აღიზიანებდნენ. ცდილობდა, არ დაენახა ისინი, არ შეემჩნია, რაც ხდებოდა: მათ წინ ჯარისკაცი მიუძღოდა, ხალხს აქეთ-იქით სწევდა და გზას ათავისუფლებდა, ქალები ერთმანეთს ბერებზე მიანიშნებდნენ — ხშირად მასზე და ერთ ცნობილ ლამაზ ღვთისმსახურზე. მამა სერგი ცდილობდა, თვალზე ლიბრი გადაეკრა და არაფერი დაენახა კანკელში მოთავსებული სანთლების ციალის, ხატებისა და მღვდელ-მონაზვნების გარდა; არაფერი გაეგონა — მხოლოდ

გალობა და ლოცვის სიტყვები; არაფერი ეგრძნო — მხოლოდ თავდავინყებამდე მისული განცდა იმისა, რომ ყველაფერი ნესისამებრ სრულდებოდა, რაც ყოველთვის ეუფლებოდა მრავალჯერ მოსმენილი ლოცვების კიდევ ერთხელ მოსმენისა და გამეორებისას.

იგი იდგა, თავს ხრიდა, სადაც საჭირო იყო, პირჯვარს ინერდა, იბრძოდა, აზრებსა და გრძნობებს ხან გულცივად კიცხავდა, ხანაც შეგნებულად ახშობდა, როდესაც მღვდელმსახურთა შესამოსელის განმკარგველი — მამა ნიკოდიმი, მამა სერგის კიდევ ერთი უდიდესი საცდუნებელი, რომელსაც იგი უნებურად კიცხავდა ილუმენის მიმართ პირფერობისა და პირმოთნეობის გამო, — მიუახლოვდა, წელში ორად მოიხარა და აუწყა, წინამძღვარი საკურთხეველში გიხმობსო. მამა სერგიმ მანტია გაისწორა, ბარტყულა დაიხურა და ხალხში გზა ფრთხილად გაიკვლია.

— Lize, regardez a droit, c'est liu<sup>1</sup>, — მოესმა ქალის ხმა.

— Ou, ou? Il n'est pas tellement beau<sup>2</sup>.

იცოდა, რომ მის შესახებ საუბრობდნენ. ესმოდა და როგორც ყოველთვის იქცეოდა ცდუნების წინაშე მდგარი, ახლაც განუწყვეტლივ იმეორებდა: „და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“. მან თავდახრილმა ჩაუარა ამბიონს, სტიქარში გამოწყობილ კანონარქებს შემოუარა, რომლებიც ამ დროს კანკელთან აღმოჩნდნენ, და ჩრდილოეთის კარში შევიდა. საკურთხეველში, ჩვეულებისამებრ, წელში ორად მოხრილმა ხატს ჯვარედინად სცა თაყვანი, შემდეგ თავი ასწია და ილუმენს შეხედა. წინამძღვრის გვერდით ვილაცის ბრჭყვიალატანსაცმლიან ფიგურას მოჰკრა თვალი.

სადღესასწაულოდ გამოწყობილი ილუმენი კედელთან იდგა, მოკლე, ფუმფულა ხელები მსუქან სხეულსა და ღიპზე

---

1 ლიზა, მარჯვნივ გაიხედე, ეს ისაა (ფრ.).

2 სად, სად? არც ისე ლამაზი ყოფილა (ფრ.).

გადაცმული შესამოსლიდან გამოეყო, ოლარის სირმას უსვამდა და ღიმილით ესაუბრებოდა ვენზელებითა და აქსელბანდებით მორთული მუნდირით დამშვენებულ გენერალს. მამა სერგის გამოცდილმა სამხედრო მზერამ მასში მისი პოლკის ყოფილი მეთაური ამოიცნო.

როგორც ჩანს, მას ახლა მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. მამა სერგის თვალს არც ის გამოორჩენია, რომ ილუმენმა ეს იცოდა, უხაროდა და ამის გამო აწითლებული სახე და მოტვლეპილი თავი ულაპლაპებდა. ამან მამა სერგი გვარიანად შეურაცხყო და გაანაწყენა, მაგრამ როდესაც წინამძღვარმა უთხრა, რომ მხოლოდ გენერლის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დაუძახა, რომელსაც, მისივე თქმით, თავისი ყოფილი თანამოსამსახურის ნახვა სურდა, ბრაზი გაუორმაგდა.

— ძალიან მიხარია, ანგელოზის სახით რომ გხედავთ, — თქვა გენერალმა და ხელი გაუწოდა, — ვიმედოვნებ, ძველი ამხანაგი არ დაგვინწყებიათ.

ილუმენს ჭაღარა წვერ-ულვაშს შორის კანი წითლად მოუჩანდა, იგი იღიმებოდა და თითქოს კვერს უკრავდა გენერლის ნათქვამს, რომელსაც ნაპატივებ სახეზე თვითკმაყოფილი ღიმილი გადაჰფენოდა, პირიდან ღვინის, ბაკენბარდებიდან კი სიგარის სუნი ასდიოდა. მამა სერგის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მან წინამძღვარს თავი ერთხელაც დაუკრა და თქვა:

— თქვენმა მალაღლირებამ მოსვლა მთხოვა, არა? — იგი შეჩერდა, გამომეტყველებითა და პოზით კი ეკითხებოდა: რისთვის დამიძახეთო?

— გენერლის სანახავად, — მიუგო ილუმენმა.

— თქვენო მალაღლირსებავ, ერისკაცობაზე უარი ვთქვი, რათა საცდურებს გავქცეოდი, — თქვა მან, გაფითრდა და ტუჩები აუცახცახდა, — თქვენ კი მათ აქ მახვედრებთ? ღვთის ტაძარში, თანაც ლოცვის დროს.

— წადი, წადი, — უთხრა ილუმენმა, თან სახე აელენა და მოექუფრა.

მეორე დღეს მამა სერგიმ წინამძღვარსა და ძმობას თავისი სიამაყის გამო პატიება სთხოვა, მაგრამ იმავდროულად, ლოცვებში გატარებული ღამის შემდეგ მონასტრის დატოვება გადაწყვიტა. მან წერილი მისწერა ბერს, რომელშიც სთხოვდა, რომ როგორმე უკან დაბრუნების ნება დაერთო. უხსნიდა, რომ თავს სუსტად გრძნობდა და უმისოდ მოზღვავებულ საცდურებს ვერ გაუმკლავდებოდა. თან თავის ცოდვას — სიამაყეს ინანიებდა. შემდეგი ფოსტით ბერისგან პასუხი მიიღო, რომელიც წერდა, რომ ყველაფრის სათავედ სიამაყე მიაჩნდა. ბერის თქმით, მისი მორჩილების მიზეზი, რაც სულიერ პატივისცემაზე უარის თქმაში გამოიხატა, ღმერთის სიყვარული კი არ იყო, არამედ საკუთარი სიამაყე — აქაოდა, რა მაგარი ვარ, არაფერი მჭირდებაო. სწორედ ამიტომაც ვერ აიტანა ილუმენის საქციელი. მე ყველაფერზე უარი ვთქვი ღვთის გულისთვის, ჩემკენ კი თითს ისე იშვერენ, თითქოს მხეცი ვიყო. „შენ რომ დიდებაზე უარი ღმერთის გულისთვის გეთქვა, ყველაფერს აიტანდი. მაგრამ შენში ჯერაც არ ჩამქრალა მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სიამაყე. შვილო სერგი, მე შენზე ვფიქრობდი და ელოცულობდი და აი, რა შთამაგონა ღმერთმა შენთვის: ძველებურად განაგრძე მორჩილებაში ცხოვრება. შევიტყვეთ, რომ სავანეში წმინდანივით მცხოვრები დაყუდებული ილარიონი გარდაიცვალა. მან იქ თვრამეტი წელი გაატარა. ამას წინათ ტამბინელმა წინამძღვარმა მკითხა, რომელიმე ძმას ხომ არ სურს იმ ადგილას ცხოვრებაო. ამ დროს შენი წერილიც მოვიდა. ტამბინის მონასტერში წადი მამა პაისტან, მე მას მივწერ, შენ კი სთხოვე, რომ ილარიონის სენაკი დაგიტომოს. არა იმიტომ, რომ ილარიონის შეცვლა შეგიძლია — განმარტოება გჭირდება საკუთარი სიამაყის დასათრგუნად. ღმერთმა გაკურთხოს“.

სერგიმ ბერს დაუჯერა, წერილი ილუმენს აჩვენა, მისგან ნებართვა აიღო, თავისი სენაკი და ნივთები მონასტერს დაუტოვა და ტამბინის უდაბნოსკენ გაემართა.

იქაურმა წინამძღოლმა, შესანიშნავმა მეურნემ და ყოფილმა ვაჭარმა, სერგი უბრალოდ და მშვიდად მიიღო, ილარიონის სენაკში მოათავსა, ჯერ მსახური დაუნიშნა, შემდეგ კი, სერგის თხოვნით, იგი მარტო დატოვა. ეს სენაკი მთაში გამოთხრილ გამოქვაბულს წარმოადგენდა. ილარიონი სწორედ იქ, გამოქვაბულის უკანა ნაწილში დაესაფლავებინათ, უფრო ახლოს კი, ნიშაში, იყო საძინებელი, ჩალის ლეიბი, პატარა მაგიდა და თარო ხატებითა და წიგნებით. ერთი თარო გარეთა კართანაც დაეკიდათ, რომელზეც დღეში ერთხელ მონასტრიდან მოსული ბერი საჭმელს უტოვებდა.

ასე გახდა მამა სერგი განდეგილი.

#### IV

სენაკში მამა სერგის ცხოვრების მეექვსე წელიწადს, ყველიერზე, მეზობელი ქალაქიდან, ბლინებითა და ღვინით მოლხენის შემდეგ, მდიდარი კაცებისა და ქალებისგან შემდგარმა მხიარულმა კომპანიამ სამცხენა მარხილებით გასეირნება გადაწყვიტა. ჯგუფში ორი ადვოკატი, ერთი მდიდარი მემამულე, ოფიცერი და ოთხი ქალი შედიოდა. ერთი მათგანი ოფიცრის ცოლი იყო, მეორე — მემამულის, მესამე, ქალიშვილი, მემამულის და გახლდათ, მეოთხე კი ქმარს გაცილებული ლამაზი, მდიდარი და ახირებული ქალი, რომელიც თავისი უსაქციელობით ხშირად მთელ ქალაქს აოცებდა და აფორიაქებდა.

შესანიშნავი ამინდი იდგა, გზა სარკესავით ბზინავდა. ქალაქგარეთ ათიოდე ვერსის გავლის შემდეგ შეჩერდნენ და თათბირს შეუდგნენ, საით წასულიყვნენ: უკან თუ წინ.

— ეს გზა საით მიდის? — იკითხა მაკოვკინამ, ქმარს გაცილებულმა ლამაზმანმა.

— ტომბინოში, აქედან თორმეტი ვერსი იქნება, — თქვა ადვოკატმა, რომელიც მას ეარშიყებოდა.

— იმის იქით?

— შემდეგ ლ.-კენ, მონასტრის გავლით.

— ეს ის ხომ არ არის, სადაც მამა სერგი ცხოვრობს?

— დიახ.

— კასატსკი? ლამაზი განდეგილი?

— დიახ.

— ქალბატონებო! ბატონებო! კასატსკისთან წავიდეთ. ტამბინოში კი დავისვენებთ და წავიხემსებთ.

— მაგრამ დალამებამდე შინ დაბრუნებას ველარ მოვასწრებთ.

— არაფერია, ღამეს კასატსკისთან გავათევთ. იქ სამონასტრო სასტუმრო უნდა იყოს. შესანიშნავია. ნამყოფი ვარ, როდესაც მახინს ვიცავდი.

— არა, მე კასატსკისთან გავათევ ღამეს.

— გაფრთხილებთ, რომ ეს თქვენი ყოვლისშემძლეობის გათვალისწინებითაც კი შეუძლებელია.

— შეუძლებელი? დავნაძლევედით.

— თანახმა ვარ. თუ ღამეს მასთან გაათევთ, რაც გინდათ მთხოვეთ.

— A discretion<sup>1</sup>.

— თქვენც ასევე!

— რა თქმა უნდა. წავედით.

მეეტლევებს ღვინო მოუტანეს. თავისთვის ღვეზლით, ღვინითა და კანფეტით სავსე ყუთი ამოაძვრინეს. ქალები ძალღის ბენვის თეთრ ქურქებში გაეხვივნენ. მეეტლევები ცოტათი წაკამათდნენ, ვერ შეთანხმებულებიყვნენ, წინ ვინ წასულიყო,

---

<sup>1</sup> შეხედულებისამებრ (ფრ.).

შემდეგ ერთი ახალგაზრდა გაბედულად დაჯდა გვერდულად, ცხენებს გრძელი შოლტი გადაჰკრა, შესძახა და... ანკრიალდა ეყენები, აჭრაჭუნდა თავკავეები.

მარხილები ოდნავ ხტოდა და ქანაობდა, შუა ცხენი თანაბრად და მხიარულად მიჰქროდა მობალთული საბარკულის ზემოთ მაგრად შესკვნილი კუდით. სწორი, კარაქივით გზა სწრაფად გარბოდა უკან. მეეტლე თამამად ამოძრავებდა სადავეებს. ადვოკატი და ოფიცერი მათ წინ მოკალათებულ მაკოვკინას ტყუილ-მართლით ყურებს უჭედევდნენ. ქურქში მჭიდროდ გახვეული ქალი კი გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა: „სულ ერთი და იგივე და სულ საძაგლობა: ღვინითა და თამბაქოს სუნით გაჟღენთილი წითელი, გაპრიალებული სახეები, იგივე სიტყვები და აზრები და ყველაფერი იმავე საზიზღრობის გარშემო ფრიალებს. ეს თვითკმაყოფილი ბატონები დარწმუნებული არიან, რომ ასეც უნდა იყოს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე გააგრძელებენ. მე კი აღარ შემიძლია. მომწყინდა. რაღაც ისეთი მჭირდება, რაც ამ ყველაფერს დაანგრევს, გადააყირავებს. აი, თუნდაც როგორც ისინი, სარატოვში, მგონი გაემგზავრნენ და გაიყინენ. ნეტა ჩვენები რას გააკეთებდნენ? როგორ მოიქცეოდნენ? ჰო, ალბათ უნამუსოდ. ყველა თავისთვის. მეც უნამუსოდ მოვიქცეოდი. მაგრამ მე ლამაზი მაინც ვარ. მათ ეს კარგად იციან. ის ბერი? ნუთუ ეს აღარ აინტერესებს? ტყუილია. ეს ნამდვილად კარგად ესმით. როგორც შემოდგომაზე იმ კადეტთან. რა სულელი იყო...“

- ივან ნიკოლაიჩ! — თქვა მან.
- რას მიბრძანებთ?
- რამდენი წლის არის?
- ვინ?
- კასატსკი, სხვა ვინ.
- ორმოცს უნდა იყოს გადაცილებული.
- და რა, ყველას ღებულობს?

— ყველას, მაგრამ ყოველთვის არა.

— ფეხები შემოფუთნეთ. ასე არა. რა მოუხერხებელი ხართ! კიდევ, კიდევ, აი ასე. ფეხებზე ხელის მოჭერა საჭირო არ არის.

ასე მიაღწიეს ტყეს, სადაც სენაკი მდებარეობდა.

ქალი გადმოვიდა, სხვებს კი გზის გაგრძელება უბრძანა. ერთი კი სცადეს, რომ გადაეთქმევინებინათ, მაგრამ იგი გაბრაზდა და დაიყინა, რომ წასულიყვნენ. მარხილები გზას გაუდგნენ, ძალის ბენვის თეთრ ქურქში გახვეული ქალი ბილიკს გაუყვა. ადვოკატი მარხილიდან ჩამოხტა და მას შორიდან შეჰყურებდა.

## V

მამა სერგის სენაკში უკვე ექვსი წელი გაეტარებინა. ორმოცდაცხრა წელი შესრულებოდა. რთული ცხოვრება ჰქონდა. არა მარხვისა და ლოცვების, არამედ შინაგანი ბრძოლის გამო, რომელსაც არაფრით ელოდა. ამ ბრძოლას ორი რამ იწვევდა: ეჭვი და ავხორცობა. ორივე მტერი ერთდროულად უტევდა. ეჩვენებოდა, რომ ორი სხვადასხვა მტერი ჰყავდა, სინამდვილეში კი ეს ერთი და იგივე იყო. ეჭვის მოსპობისთანავე ავხორცობაც ქრებოდა. მისი აზრით, ორი სხვადასხვა ეშმაკი შესჩენოდა და მათ ცალ-ცალკე ებრძოდა.

„ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ფიქრობდა იგი, — რატომ არ მაძლევ რწმენას. დიახ, ავხორცობა, დიახ, მას წმინდა ანტონი და სხვებიც ებრძოდნენ, მაგრამ არსებობს რწმენა. მათ ჰქონდათ იგი, მე კი ის ზოგჯერ წუთების, საათების, დღეების განმავლობაშიც არ მაქვს. რისთვისაა შექმნილი ეს სამყარო მთელი თავისი მშვენიერებით, თუ იგი ცოდვილია და მასზე უარი უნდა ვთქვათ? რატომ შექმენი ეს საცდური? საცდური? განა საცდური არ არის ის, რომ ამქვეყნიურ სიხარულს

გავურბივარ და რალაცის შექმნას ვცდილობ იქ, სადაც, შესაძლოა, არაფერიც არ არის, — ეს რომ გაიფიქრა, შეძრწუნდა და საკუთარი თავი შეზიზღდა, — საზიზღარო! საზიზღარო! წმინდანობა გსურს“, — შეუდგა იგი საკუთარი თავის ლანძღვას და ლოცვაზე გადაერთო. მაგრამ დაიწყო თუ არა, მაშინვე ნათლად წარმოიდგინა თავისი თავი მონასტერში ყოფნისას: ბარტყულათი, მანტიით, დიდებული იერით. თავი გადააქნია. „არა, ეს ის არაა. ეს სიცრუეა. სხვებს კი მოვატყუებ, მაგრამ საკუთარ თავს და ღმერთს — ვერასდროს. დიდებული კი არა, საცოდავი, სასაცილო ადამიანი ვარ“. მან ანაფორის კალთები გადასწია და პერანგის ამხანაგით შემოსილ გასაცოდავებულ ფეხებზე დაიხედა. და გაელიმა.

შემდეგ კალთები ჩამოუშვა და ლოცვის კითხვას, პირჯვრის წერასა და თაყვანისცემას მოჰყვა. „ნუთუ ეს სარეცელი იქნება ჩემი კუბო?“ — კითხულობდა იგი. და თითქოს ეშმაკმა წასჩურჩულა: „მარტოხელა კაცის სარეცელი ისედაც კუბოა. სიცრუეა“. თვალწინ იმ ქვრივი ქალის მხრები წარმოუდგა, რომელთანაც ცხოვრობდა, თავი გადააქნია და კითხვა განაგრძო. წესების წაკითხვის შემდეგ სახარება აილო, გადაშალა და იმ ადგილზე მოხვდა, რომელსაც გულმოდგინედ კითხულობდა ხოლმე და ზეპირად იცოდა: „მწამს, უფალო, დამეხმარე ურწმუნოების დაძლევაში“. მან ყველა ეჭვი უკუაგდო. როგორც არამყარი წონასწორობის საგანს დგამენ, ისე დააყენა კვლავ თავისი რწმენა მოქანავე ფეხზე და ფრთხილად მოშორდა, რათა შემთხვევით ხელი არ გაეკრა და არ გადმოეგდო. თვალეზე კვლავ ლიბრი გადაეკრა და დამშვიდდა. თავისი საბავშვო ლოცვა გაიმეორა: „წამიყვანე, უფალო, წამიყვანე“, და მაშინვე სიმსუბუქე, სიხარული და გულაჩვილება დაეუფლა. პირჯვარი გადაიწერა, ვიწრო ძელსკამზე დაგებულ საფენზე დანვა და თავქვეშ ზაფხულის ანაფორა ამოიღო. ჩაეძინა. ძილში ეჭვნის ხმა ჩაესმა. არ იცოდა, ეს ცხადში ხდებოდა თუ სიზმარში. უეცრად კარზე კაკუნმა გამოაღვიძა. წამოდგა.

საკუთარი თავის არ სჯეროდა. მაგრამ კაკუნი განმეორდა. დიახ, ეს იყო ახლოდან დაკაკუნება, მის კარზე, და ქალის ხმა.

„ღმერთო ჩემო! ნუთუ მართალია, რაც წმინდანთა შესახებ დანერვილ წიგნებში ამომიკითხავს, რომ ეშმაკი ქალის სახეს ღებულობს... დიახ, ეს ქალის ხმაა. ნაზი, მორიდებული და საყვარელი ხმა! ფუჰ! — მან გადააფურთხა, — არა, მეჩვენება“, — ჩაილაპარაკა, კუთხეში, პატარა ანალოესკენ გადაინაცვლა და მუხლებზე იმ ჩვეული მოძრაობით დაეშვა, რომელშიც ნუგეშისცემასა და სიამოვნებას პოულობდა. თმა სახეზე ჩამოეფარა, მოშიშვლებული შუბლი ნოტიო, ცივ, ხამი ტილოს პატარა ნოხს დაადო (იატაკიდან უბერავდა).

...იგი იმ ფსალმუნს კითხულობდა, რომელიც, როგორც მოხუცებული მამა პიმენი ეუბნებოდა, საცდურისგან თავის დახსნაში ეხმარებოდა. ძლიერ, ნერვიულ ფეხებზე ადვილად წამოსწია თავისი გამხდარი, მსუბუქი სხეული. კითხვის გაგრძელება სურდა, მაგრამ ამის ნაცვლად უნებურად სმენას დაბავდა, რათა უკეთ გაეგონა. უნდოდა, რომ გაეგონა. სიჩუმეს დაესადგურებინა. სახურავიდან წვეთები კუთხეში დადგმულ მომცრო კასრში ეცემოდა. ეზოში ჩამონოლილი ბინდი და ბურუსი თოვლს ნთქავდა. სიჩუმე. სიჩუმე. და უეცრად ფანჯარასთან რაღაცამ გაიშრიალა და მკაფიო ხმაც გაისმა — ისევ იმ ნაზმა, მორიდებულმა ხმამ, რომელიც მხოლოდ მიმზიდველი ქალის თუ იქნებოდა, ჩაილაპარაკა:

— შემომიშვით. ღვთის გულისთვის...

კაცს მოეჩვენა, რომ მთელი სისხლი გულს მიასკდა და გაჩერდა. ველარ სუნთქავდა. „და აღდგება უფალი და განიდევნებიან მტრები ...“

— ეშმაკი არ ვარ... — მოესმა, როგორ გაელიმა ამ სიტყვების მთქმელს, — ეშმაკი კი არა, უბრალო ცოდვილი ქალი ვარ, გზა ამეზნა — არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით (კვლავ სიცილი), გავითოშე და თავშესაფარს გთხოვთ...

მამა სერგი სახით შუშას მიეკრა. კანდელი მთელ ფანჯარას ანათებდა. კაცმა ხელისგულები სახის ორივე მხარეს აიფარა და სივრცეს ჩააშტერდა. ბურუსი, ბინდი, ხე, მარჯვნივ კი ის. ქალი. დიახ, ის, ქალი გრძელბენვიან თეთრ ქურქში, ქუდით, საყვარელზე საყვარელი, კეთილი, შეშინებული სახით, აქვე, მისგან ორიოდე გოჯის დაცილებით, მისკენ გადმოხრილა. მათი თვალები ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით შეხვდნენ. არა, ადრე არასდროს შეხვედრიან, მაგრამ მზერამ, რომელიც გაცვალეს, ორთავეს (განსაკუთრებით კაცს) აგრძნობინა, რომ ერთმანეთს იცნობდნენ, ერთმანეთის ესმოდათ. ამ გამოხედვის შემდეგ მამა სერგის ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მის წინაშე უბრალო, კეთილი, საყვარელი, მორიდებული ქალი კი არა, ეშმაკი იდგა.

— ვინ ხართ? აქ რამ მოგიყვანათ?

— გამიღეთ, ნულარ აყოვნებთ, — ჭირვეული და მბრძანებლური ხმით თქვა ქალმა, — გავითოშე. ხომ გითხარით, გზა ამეზნა-მეთქი.

— მაგრამ მე ბერი ვარ, განდეგილი.

— ჰოდა, გამიღეთ, ბერო, თორემ როცა ლოცვას მორჩებით, ამ ფანჯარასთან გაყინული დაგხვდებით.

— ამას როგორ...

— რისი გეშინიათ, ხომ არ შეგჭამთ? შემომიშვით, ღვთის გულისთვის. ხელ-ფეხს ველარ ვამოძრავებ.

ქალმა თავი მართლაც საშინლად იგრძნო და ეს თითქმის ტირილით წარმოთქვა.

მამა სერგი ფანჯარას მოსცილდა და ხატზე გამოსახულ იესოს შეხედა, სადაც მას თავზე ეკლიანი გვირგვინი ეკეთა. „უფალო, დამეხმარე, უფალო, დამეხმარე“, — ჩაილაპარაკა მან, პირჯვრის წერასა და მიწამდე თავის დახრას მოჰყვა, შემდეგ წინკარში გამავალ კართან მივიდა და გაალო. წინკარში კაუჭი მოძებნა და მის მოხსნას შეუდგა. მეორე მხრიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. ქალი ფანჯრიდან კარისკენ ინაცვლებ-

და. „ვაი!“ შეჰკივლა მან უეცრად. კაცი მიხვდა, რომ მოსულმა ფეხი ზღურბლთან გაჩენილ წყლის გუბეში ჩაჰკრა. კარიდან კაუჭის ახსნა სცადა, მაგრამ აცახცახებული ხელებით ამას ვერ ახერხებდა.

— რაღას ელოდებით, შემომიშვით. სულ დავსველდი. გავიყინე. საკუთარი სულის გადარჩენაზე ფიქრობთ, მე კი გასაყინად მწირავთ.

კაცმა კარი თავისკენ მოსწია, კაუჭი მოხსნა, მაგრამ ვერ მოზომა და კარს გარეთ ისეთი ძალით უბიძგა, რომ ქალს მიარტყა...

მოულოდნელად დიდი ხნის მივიწყებული, ქალბატონებისადმი მიმართვის ჩვეული სიტყვები წამოსცდა:

— ოჰ, მომიტევეთ! — თქვა მან.

ამის გაგონებაზე ქალს გაელიმა. „არც ისე საშინელი ჩანს“, — გაიფიქრა მან.

— არაფერია, არაფერი. ეს თქვენ მაჰატიეთ, — მიუგო ქალმა და გვერდით ჩაუარა, — რომ არა განსაკუთრებული შემთხვევა, ამას ვერასდროს გავბედავდი.

— გთხოვთ, — ჩაილაპარაკა კაცმა და ქალი გაატარა. თან ძვირფასი სუნამოს სუნმა განაცვიფრა, რომელიც დიდი ხანია, აღარ ეგრძნო. მაკოვკინა წინკარიდან ოთახში შევიდა. ბერმა გარეთა კარი მოაჯახუნა, კაუჭზე აღარ დაკეტა და ქალს შეჰყვა.

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე ცოდვილი, უფალო, შემინყალე მე ცოდვილი“, — შეუჩერებლივ ლოცულობდა იგი გულში და უნებურად ტუჩებსაც ამოძრავებდა.

— გთხოვთ, — გაიმეორა მან.

ქალი შუა ოთახში იდგა და კაცს მისჩერებოდა. თვალები უცინოდა. ტანსაცმლიდან წყლის წვეთები იატაკზე ეცემოდა.

— მაჰატიეთ, რომ შემოგეჭერთ, მაგრამ ასე გამოვიდა. ქალაქიდან სასეირნოდ წამოვედი. მეგობართან სანაძლეო

დავდე, რომ ვორობიოვიკიდან ქალაქამდე მარტო მივიდოდი, მაგრამ გზა ამეზნა და თქვენს სენაკს რომ არ გადავყროდი...

იცრუა მან. მაგრამ კაცის სახემ ისე შეაცბუნა, გაგრძელება ველარ შეძლო და გაჩუმდა. ამგვარ ადამიანთან შეხვედრას არ ელოდა. კაცი არც ისეთი ლამაზი იყო, როგორც წარმოედგინა. მაგრამ მის თვალში მაინც მშვენივრად გამოიყურებოდა: ხუჭუჭი, ჭალარაშეპარული თმა-წვერი, სწორი, თხელი ცხვირი. განსაკუთრებით მისკენ გამოტყორცნილმა, ცეცხლმოკიდებული ნახშირით ანთებულმა თვალეზმა განაცვიფრა.

კაცი ხედავდა, რომ ქალი ცრუობდა.

— დიახ, ასე, — თქვა მან, სტუმარს ერთხელაც შეხედა და თვალეზი დახარა, — მე იქით გავალ, თქვენ კი აქ მოენწყვეთ.

მამა სერგიმ სანთელი აანთო, ქალს თავი მდაბლად დაუკრა და ტიხარს იქით, მოცუცქნულ ოთახში გავიდა. ქალს მოესმა, რომ იგი რალაცას აადგილებდა. „ალბათ, ჩემგან თავდასაცავად ემზადება“, — გაიფიქრა მან და გაელიმა, შემდეგ ძალღის თეთრი როტონდა ძირს დააგდო და ჯერ ქუდი მოიხადა, შემდეგ კი — მოქსოვილი თავსაფარი. გარეთ, ფანჯარასთან დგომისას, იგი სულაც არ დასველებულიყო — ამას მხოლოდ საბაბად იყენებდა, რათა კაცს შიგნით შეეშვა. მაგრამ კართან კი ნამდვილად ჩაეკრა მარცხენა ფეხი გუბეში და კოჭამდე სველი ჰქონდა, ფეხსაცმელსა და ბოტში წყალი ჩასდგომოდა. იგი კაცის საწოლზე — ფიცარზე ჩამოჯდა, რომელზეც მხოლოდ პატარა ნოხი ეფინა, და ფეხსაცმელების გახდას შეუდგა. სენაკი საუცხოო ოთახად ერქვენებოდა. ვიწრო ოთახი სიგანით სამი, სიგრძით კი ოთხი არშინი იქნებოდა და სარკესავით ბრწყინავდა. აქ მხოლოდ საწოლი იდგა, რომლის თავზეც წიგნებიანი თარო ეკიდა. კუთხეში პატარა ანალოე მოჩანდა, კარზე მიჭედებულ ლურსმანზე — ქურქი და ანაფორა. ანალოეს ზემოთ მოთავსებულ ხატზე ქრისტე იყო გამოსახული თავზე ეკლიანი გვირგვინით. იქვე კანდელი ენთო.

უცნაურ სუნს გრძნობდა: ზეთისას, ოფლისას და მიწისას. აქ ყველაფერი მოსწონდა. ეს სუნიც კი.

ქალს მხოლოდ სველი ფეხები, განსაკუთრებით მარცხენა აშფოთებდა, ამიტომ გახდას მოუჩქარა, თან შეუჩერებლივ ეღიმებოდა — არა იმიტომ, რომ მიზანს მიაღწია, არამედ იმის გამო, რომ — ეს თვითონ დაინახა — ასეთი მშვენიერი, განსაცვიფრებელი, უცნაური და მიმზიდველი მამაკაცი შეაცბუნა. „დიდი ამბავი, თუ არ მიპასუხა“, — გაივლო გულში.

— მამაო სერგი! მამაო სერგი! თქვენ ხომ ასე გეძახიან?

— რა გნებავთ? — გაისმა ჩუმი ხმა.

— მაპატიეთ, გეთაყვა, მყუდროება რომ დაგირღვიეთ, მაგრამ სხვა გზა მართლა არ მქონდა. ავად გავხდებოდი. ახლაც არ ვიცი, რა მეღის. ერთიანად სველი ვარ, ფეხები კი ყინულივით ცივი მაქვს.

— ბოდიშს გიხდით, — მიუგო მამა სერგიმ წყნარი ხმით, — მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

— არაფრის გულისთვის არ შეგანუხებდით. გათენებისთანავე წავალ.

კაცი არ გამოეხმაურა. ქალს ესმოდა, რომ იგი რალაცას ჩურჩულებდა — ალბათ ლოცულობდა.

— აქ ხომ არ აპირებთ შემოსვლას? — ჰკითხა ქალმა ღიმილით, — თორემ უნდა გავიხადო, რათა გავშრე.

კაცმა კვლავ არაფერი უპასუხა — თანაბარი ხმით ლოცვებს კითხულობდა.

„აი, მესმის ადამიანი“, — გაიფიქრა ქალმა, თან ამოდ ცდილობდა სველი ბოტის გახდას. უეცრად სიცილი აუტყდა. ჯერ ძლივს გასაგონად იცინოდა, თუმცა იცოდა, რომ კაცს ესმოდა და ეს სიცილი მასზე ისე იმოქმედებდა, როგორც თვითონ სურდა, შემდეგ კი ხმას აუწია და მისმა მხიარულმა, ბუნებრივმა, კეთილმა კისკისმა კაცზე სწორედ ისე იმოქმედა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა.

„ასეთი ადამიანის შეყვარებაც შეიძლება. როგორი თვა-

ლები აქვს. უბრალო, კეთილშობილი და — როგორც არ უნდა ბურტყუნებდეს ლოცვებს — ვნებიანი სახე! — ფიქრობდა მაკოვკინა, — ჩვენ, ქალები, ამაში არ ვტყუვდებით. როგორც კი სახე ფანჯარასთან მოიტანა და დამინახა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა და ჩასწვდა. თვალებში ანთო და ჩაებეჭდა. შევუყვარდი, ჩემი დაუფლება მოუნდა. ჰო, მოუნდა“, — ლაპარაკობდა თავისთვის, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ფეხსაცმელი და ბოტი გაიხადა და წინდებზე გადავიდა. ამ გრძელი ლასტიკის წინდების გასახდელად ქვედანელები უნდა წამოეხადა. შერცხვა და ჩაილაპარაკა:

— არ შემოხვიდეთ.

მაგრამ ტიხარს იქიდან კვლავ არაფერი უპასუხეს. მხოლოდ თანაბარი ბურტყუნი და რალაც მოძრაობის ხმა ისმოდა. „ალბათ თავს მინამდევ ხრის, გაიფიქრა ქალმა, — მაგრამ სინამდვილეში თავის დახრაზე კი არა, ჩემზე ფიქრობს. ისევე, როგორც მე მასზე. ამ ფეხებზეც იგივე გრძნობა აფორიაქებს“. მან სველი წინდები გაიძრო, შიშველი ფეხებით საწოლზე გაიარა და დაჯდა. ასე ცოტა ხანს გაძლო — მუხლებზე ხელები შემოეჭდო და ჩაფიქრებული წინ იყურებოდა. „ეს უდაბნო, ეს სიჩუმე. და ვერავინ ვერასდროს ვერ გაიგებდა...“

იგი წამოდგა, წინდები ღუმელთან მიიტანა და სასულეზე გადაჰკიდა. რალაც განსაკუთრებული სასულე იყო. ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ კი მსუბუქი ნაბიჯებით საწოლთან დაბრუნდა და ისევ დაჯდა. ტიხარს მიღმა ყველაფერი მიყურდა. ქალმა კისერზე ჩამოკიდებულ ნამცეცა საათს დახედა. ორი საათი იყო. „ჩვენები სამისთვის მოვლენ“. ერთი საათი კიდევ რჩებოდა.

„ასე მარტო ხომ არ ვიჯდები. რა სისულელეა? არ მინდა. ახლავე დავუძახებ“.

— მამაო სერგი! მამაო სერგი! სერგეი დიმიტრიჩ. თავადო კასატსკი!

კარს იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— მომისმინეთ, ეს სისასტიკეა. არ დაგიძახებდით, რომ არ მჭირდებოდეთ. აჟად ვარ. ვერ გამიგია, რა მჭირს, — ალაპარაკდა იგი ტანჯული ხმით, — ოჰ, ოჰ! — დაიკვნესა მან და სანოლზე დაეცა. უცნაურია, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ ძალ-ღონე ელეოდა, უძლურდებოდა, ყველაფერი სტკიოდა და კანკალს, ციებ-ცხელებას აეტანა.

— მომისმინეთ, დამეხმარეთ. არ ვიცი, რა მჭირს. ოჰ! ოჰ! — მან კაბა შეიხსნა, მკერდი გამოაჩინა და იდაყვებამდე მოშიშველებული ხელები კისერზე შემოიჭდო, — ოჰ, ოჰ!

მთელი ამ დროის განმავლობაში მამა სერგი თავის საკუჭნაოში იდგა და ლოცულობდა. საღამოს ლოცვები რომ ჩაამთავრა, თვალები ცხვირის წვერს მიაპყრო და მთელი არსებით იმეორებდა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე“.

მაგრამ ყველაფერი ესმოდა. გაიგონა კაბის გახდისას აბრეშუმის ქსოვილის შრიალი, იატაკზე შიშველი ფეხების ტყაპუნი, ხელით ფეხის დაზელვა. გრძნობდა საკუთარ სისუსტეს, იცოდა — ნებისმიერ წუთს დალუპვა ელოდა და ამიტომ შეუჩერებლივ ლოცულობდა. რალაც იმდაგვარს განიცდიდა, რასაც ზღაპრის გმირი, უკან მოუხედავად რომ უნდა განაგრძოს გზა. მამა სერგი გრძნობდა, ალღოთი ხვდებოდა საფრთხეს, აღსასრული აქვე იყო, მასთან, მის ირგვლივ. გადარჩენა შეეძლო, ოღონდ ქალისთვის ერთხელაც არ უნდა შეეხედა... მაგრამ უეცრად ამის გაკეთება საოცრად მოუხდა. წამსვე ქალის ხმაც გაისმა:

— მომისმინეთ, ეს ხომ არაადამიანურობაა. ასე, შესაძლოა, მოვკვდე კიდევ.

„ღიახ, წავალ, მაგრამ ისე, როგორც ამას ის მღვდელი აკეთებდა, რომელიც ერთ ხელს მრუმ ქალს ადებდა, მეორეს კი მაყალზე დებდა. მაგრამ მაყალი არ მაქვს“. მან მიიხედ-მოიხედა. ლამპა დაინახა. თითი ალს შეუშვირა, მოიღუშა და თმენისთვის მოემზადა. კარგა ხნის განმავლობაში ვერაფერს

გრძნობდა, მოულოდნელად კი — ვერ მიმხვდარიყო, სტკიოდა თუ არა, და თუ სტკიოდა, რამდენად ძლიერ, — შეიჭმუნა, ხელი სასწრაფოდ უკან წამოიღო და მის ქნევას მოჰყვა. „არა, ამას ვერ შევძლებ“.

— ღვთის გულისთვის! ოჰ, მოდით ჩემთან! ვკვდები, ოჰ! „მაშ რა გამოდის, დავიღუპები? არა, ეს არ მოხდება“.

— ახლავე მოვალ, — ჩაილაპარაკა მან, თავისი კარი გააღო, ქალისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე გავიდა წინკარში, ხელის ცეცებით მიაგნო ჯირკს, რომელზეც შეშას ჩეხდა ხოლმე, და კედელზე მიყუდებულ ნაჯახს.

— ახლავე, — გაიმეორა მან, მარჯვენა ხელით ნაჯახი აიღო, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ჯირკზე დადო, ნაჯახი აღმართა და მეორე სახსრის ქვემოთ დაირტყა. თითი იმაზე მსუბუქად მოსძვრა, ვიდრე იმავე სისქის შეშას — ნაფოტი, გადატრიალდა, ჯერ ჯირკის კიდეზე მოადინა ტყაპანი, იქიდან კი იატაკზე გადმოვარდა.

სანამ ტკივილს იგრძნობდა, მამა სერგიმ ჯერ ეს ხმა გაიგონა. გაოცება ვერ მოასწრო, რომ მწვავე ტკივილმა დაუარა. თითიდან თბილმა სისხლმა იფეთქა. ჭრილობას ანაფორის კალთა დააფარა, თედოზე მიიჭირა, სენაკში შებრუნდა, ქალის წინ შეჩერდა და თვალეზდახრილმა წყნარად ჰკითხა:

— რა გნებავთ?

ქალმა მის გაფითრებულ სახესა და მოცახცახე მარცხენა ლოყას შეხედა და უეცრად ძალიან შერცხვა. სწრაფად წამოხტა, ქურქს ხელი დასტაცა, მოიხურა და მჭიდროდ შეიფუთა.

— დიახ, ტკივილს ვგრძნობდი... გავცივდი... მე... მამაო სერგი... მე...

კაცმა თავი ასწია. თვალეზში სიხარულის შუქი ჩასდგომოდა.

— საყვარელო დაო, -- თქვა მან, -- რატომ გინდოდა ჩემი უკვდავი სულის დაღუპვა? ამ ქვეყანას საცდური კი უნდა მო-

ველინოს, მაგრამ ვაი მას, ვისი გავლითაც იგი შემოვა... ილოცე, რათა ღმერთმა გვაპატიოს.

ქალი კაცს უსმენდა, თან თვალს არ აშორებდა. უეცრად ძირს დაცემული წვეთების წკაპანკუპი მოესმა. დაიხედა და დაინახა, რომ სისხლი ხელიდან ანაფორას მოუყვებოდა.

— ხელს რა უქენით? — მას გაახსენდა ყრუ დარტყმის ხმა, კანდელს ხელი სტაცა, წინკარში გავარდა და იატაკზე გასისხლიანებულ თითს მოჰკრა თვალი. ოთახში კაცზე უფრო გაფითრებული დაბრუნდა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ მამა სერგი უხმოდ გავიდა საკუჭნაოში და კარი მოიკეტა.

— მაპატიეთ, — თქვა ქალმა, — რით გამოვისყიდი ჩემს ცოდვას?

— წადი.

— ჭრილობის შეხვევის ნება მაინც მომეცით.

— აქედან წადი-მეთქი.

ქალმა აჩქარებით და უსიტყვოდ ჩაიცვა. ქურქმოსხმული იჯდა და ელოდა. გარედან ეჭვნების წკრიალი გაისმა.

— მამაო სერგი, მაპატიეთ.

— წადი. ღმერთი გაპატიებს.

— მამაო სერგი, სხვანაირად დავინყებ ცხოვრებას. ნუ მიმატოვებთ.

— წადი.

— მაპატიეთ და დამლოცეთ.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმიდისათა, — გაისმა ტიხრის მეორე მხრიდან, — წადი.

აქვითინებული ქალი სენაკიდან გავიდა. მის შესახვედრად ადვოკატი მოდიოდა.

— კარგი, წავაგე, რა გაეწყობა. სად დაბრძანდებით?

— სულერთია.

იგი მარხილზე დაჯდა და სახლში მისვლამდე კრინტი აღარ დაუძრავს.

ორი წლის შემდეგ მაკოვკინა მონაზვნად აღიკვეცა და მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობდა მონასტერში არსენ განდევილის ხელმძღვანელობით, რომელიც მას ზოგჯერ წერილებს სწერდა.

## VI

სენაკში მამა სერგიმ კიდევ შვიდი წელი იცხოვრა. თავდაპირველად იგი ბევრს იტოვებდა იმისგან, რაც მასთან მოჰქონდათ: ჩაის, შაქარს, თეთრ პურს, რძეს, ტანსაცმელს, შეშას. მაგრამ რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო იმკაცრებდა ცხოვრების პირობებს, ყოველივე ზედმეტზე უარს ამბობდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ აღარაფერს ღებულობდა შავი პურის გარდა, იმასაც კვირაში მხოლოდ ერთხელ.

მთელ თავის დროს მამა სერგი სენაკში ლოცვას ან მნახველებთან საუბარს ანდომებდა, რომელთა რიცხვი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. იგი არსად დადიოდა, საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ წყალსა და შეშას იმარაგებდა, ეკლესიას კი წელიწადში სამჯერ სტუმრობდა.

ამგვარად გატარებული ხუთი წლისთავზე მოხდა მაკოვკინასთან დაკავშირებული შემთხვევა, ქალის ღამის ვიზიტი, მასში მომხდარი ცვლილება და მონაზვნად აღკვეცა, რაც მალე მთელ არემარეს მოედო. იქიდან მოყოლებული, მამა სერგის დიდება განუწყვეტლივ იზრდებოდა. მნახველებს ბოლო არ უჩანდა, მის სენაკთან ბერები დასახლდნენ, აშენდა ეკლესია და სასტუმრო. მამა სერგის სახელი სულ უფრო და უფრო შორს გავრცელდა, როგორც ხდება ხოლმე, ბევრი მისი საქციელი გააზვიადეს კიდევ. საიდან აღარ მოდიოდნენ მასთან, თან ავადმყოფები მოჰყავდათ და ამტკიცებდნენ, რომ მას მათი განკურნება შეეძლო.

პირველად ასეთი რამ სენაკში მისი ცხოვრების მერ-

ვე წელს მოხდა. ქალმა მას თოთხმეტი წლის ვაჟიშვილი მო-  
უყვანა და მოსთხოვა, მისთვის ხელები დაედო. იქამდე მამა  
სერგის თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ავადმყოფების  
განკურნების ძალა შესწევდა. ამას სიამაყის გამოვლინებად  
და, შესაბამისად, უდიდეს ცოდვად თვლიდა, მაგრამ ბიჭის  
დედა თავისას არ იშლიდა, შეუჩერებლივ ეხვეწებოდა, ფე-  
ხებში უვარდებოდა, ღმერთის სახელით ევედრებოდა და  
ეუბნებოდა: თუ სხვებს კურნავ, ჩემმა შვილმა რა დაგიშავაო.  
მამა სერგის პასუხზე — განკურნება მხოლოდ ღმერთს შე-  
უძლიაო, ამბობდა: მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ხელები დაადო  
და ილოცოო. მამა სერგიმ უარი უთხრა და თავის სენაკში წა-  
ვიდა. მეორე დღეს (ეს შემოდგომით ხდებოდა და ღამით უკვე  
ციოდა) სენაკიდან წყალზე გამოსულმა ისევ ის ქალი დაინახა  
თავის თოთხმეტი წლის ფერმკრთალ, გამხდარ ბიჭთან ერ-  
თად და უკვე ნაცნობი ხვენწა-მუდარაც მოესმა. მამა სერგის  
იგავი გაახსენდა უსამართლო მოსამართლის შესახებ და თუ  
ადრე დარწმუნებული იყო თავისი ნათქვამის სისწორეში, ახ-  
ლა ეჭვი შეეპარა. ეჭვის გაჩენისთანავე ლოცვას მოჰყვა და  
იქამდე ილოცა, სანამ გარკვეულ გადანყვეტილებამდე არ  
მივიდა. ამ გადანყვეტილების მიხედვით, მას ქალის მოთხოვ-  
ნა უნდა შეესრულებინა, რადგან დედის რწმენას შვილის  
გადარჩენა შეეძლო. თვითონ მამა სერგი კი ამ შემთხვევაში  
ღმერთის მიერ არჩეული უბრალო იარაღი იყო და მეტი არა-  
ფერი.

იგი ბავშვის დედასთან გავიდა და სურვილი შეუსრულა,  
ბიჭუნას თავზე ხელები დაადო და ლოცვას შეუდგა.

დედა-შვილი მალე გაემგზავრა, ერთი თვის შემდეგ კი ბი-  
ჭი გამოჯანმრთელდა და მალე მთელ ოლქში გავრცელდა ხმა  
ბერი სერგის წმინდა, განმკურნებელ ძალაზე. კვირა ისე არ  
გავიდოდა, რომ მამა სერგისთან ავადმყოფები არ მისულიყ-  
ვნენ. რადგან ერთს უარი ვერ უთხრა, ამას ვერც სხვებს უბე-  
დავდა, ამიტომ ხელებს მათ სხეულს ადებდა და ლოცულობ-

და. მრავალი განიკურნა და მამა სერგის სახელი და დიდება კიდევ უფრო გავრცელდა.

ასე გავიდა მონასტერში ყოფნის ცხრა და განმარტოების ცამეტი წელიწადი. მამა სერგი გარეგნულად ბერს დაემსგავსა: გრძელი და ჭაღარა წვერი ჰქონდა, მაგრამ შავი და ხუჭუჭი მეჩხერი თმა.

## VII

ერთი აზრი მამა სერგის რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ასვენებდა: სწორად იქცეოდა თუ არა, როდესაც იმ მდგომარეობას დაჰყაბულდა, რომელშიც არა საკუთარი ნებით, არამედ არქიმანდრიტისა და ილუმენის გამოისობით აღმოჩნდა. ყველაფერი თოთხმეტი წლის ბიჭის განკურნებით დაიწყო და იქიდან მოყოლებული თვე, კვირა და თუნდაც დღე ისე არ გავიდოდა, რომ არ ეგრძნო, თუ როგორ ნადგურდებოდა მისი შინაგანი ცხოვრება და გარეგნული იცვლებოდა. თითქოს ყველაფერი ამოუტრიალეს.

სერგი ხედავდა, რომ მონასტრის ხელმძღვანელობა მას მნახველებისა და შემომწირველების მოსამრავლებლად იყენებდა, ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომელშიც ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო. მაგალითად, შრომა თითქმის აღარ უხდებოდა. რაც ესაჭიროებოდა, ყველაფრით მოამარაგეს და მისგან მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ მასთან მოსული მნახველებისთვის ლოცვა-კურთხევაზე უარი არ ეთქვა. მეტი მოხერხებულობისთვის მიღების დღეებიც კი დაუნესეს, მოუწყვეს მამაკაცების მისაღები და მოაჯირით გარშემორტყმული ადგილი, რათა ფეხებში ჩაეარდნით მნახველებს არ წაექციათ, ადგილი, საიდანაც მომსვლელთა ლოცვა-კურთხევა შეეძლო. როდესაც ეუბნებოდნენ, რომ იგი ხალხს სჭირდებოდა, რომ სიყვარულის შესახებ ქრისტეს კანონის მიხედვით

ადამიანებს, მასთან შეხვედრას რომ მოითხოვდნენ, უარს ვერ ეტყოდა, რომ მათგან მიმალვა სასტიკი საქციელი იქნებოდა, არ შეეძლო, არ დათანხმებულიყო, მაგრამ რაც უფრო მეტ დროს უთმობდა ამ საქმიანობას, გრძნობდა, როგორ გადადიოდა შინაგანი გარეგნულში, როგორ იღეოდა მასში ცხოველმყოფელი ძალა, და ის, რასაც აკეთებდა, ადამიანებისთვის უფრო იყო, ვიდრე ღმერთისთვის.

როდესაც ხალხს რჩევა-დარიგებას აძლევდა, ლოცავდა, ავადმყოფებისთვის ლოცულობდა, მაღლიერი ადამიანებისგან სამადლობელ სიტყვებს ისმენდა, გული სიხარულით ევსებოდა, საკუთარი საქმიანობის შედეგებსა და ხალხზე თავისი გავლენის შესახებ ფიქრობდა, აგრეთვე იმაზე, რომ ანთებული ლამპარი იყო. და რაც უფრო მეტად გრძნობდა ამას, მით უფრო სუსტდებოდა და ქრებოდა მასში არსებული ჭეშმარიტების ღვთიური შუქი. „ხალხისთვის უფრო ვიღვნი თუ ღმერთისთვის?“ — აი შეკითხვა, რომელიც გამუდმებით ტანჯავდა და რომელსაც ვერასდროს არათუ ვერ პასუხობდა, პასუხის გაცემაც ვერ გაეებდა. გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ეშმაკმა ღმერთისთვის მსახურება ადამიანებისთვის მსახურებით ჩაუნაცვლა. ამის მტკიცებულებად კი ის მიაჩნდა, რომ როგორც ადრე უმძიმდა, როდესაც მყუდროებას ურღვევდნენ, ახლა თვით ეს მყუდროება უმძიმებდა სულს. მნახველებისგან ნუხდებოდა, ილღებოდა, მაგრამ თავს უტყდებოდა, რომ მათი დანახვა უხაროდა, სიამოვნებდა მათ მიერ მისი მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვები.

იყო დრო, როდესაც წასვლა და მიმალვა გადაწყვიტა. მოიფიქრა კიდევ, ეს როგორ უნდა გაეკეთებინა. მოიმზადა გლეხური პერანგი, ფეხსახვევები, ხიფთანი და ქუდი. სხვებს უთხრა, ეს იმისთვის მჭირდება, რომ მთხოვნელებს დავურიგო. ამ სამოსს თავისთან ინახავდა, წარმოიდგენდა კიდევ, როგორ ჩაიცვამდა, თმას შეიკრეჭდა და ნავიდოდა. თავდაპირველად

მატარებლით გაემგზავრებოდა, სამასიოდე ვერსს გაივლიდა. შემდეგ ჩამოვიდოდა და სოფელ-სოფელ ფეხით ივლიდა. ერთ მოხუც ჯარისკაცს დაწვრილებით გამოჰკითხა კიდევ, თუ როგორ დადიოდა, როგორ გასცემდნენ მოწყალებას, გზაზე როგორ უშვებდნენ. მანაც ყველაფერი უამბო. ერთხელ, ღამით, ჩაიცვა და წასვლაც დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა — არ იცოდა, დარჩენა ჯობდა თუ გაქცევა. დროთა განმავლობაში ამ ყოყმანმა გაუარა, თავის ყოფას მიეჩვია და ეშმაკს დამორჩილდა, გლეხური სამოსი კი მხოლოდ საკუთარ აზრებსა და გრძნობებს ახსენებდა ხოლმე.

მასთან ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოდიოდა. სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა სულიერი გაძლიერებისა და ლოცვისთვის. ზოგჯერ, ნათელ წუთებში, ფიქრობდა, რომ იმ ადგილს დაემსგავსა, სადაც ადრე წყარო ჩქეფდა. „ერთ ადგილას პატარა წყაროდან მაცოცხლებელი წყალი ჩემგან და ჩემი გავლით მოედინებოდა. ნამდვილი ცხოვრებაც ის იყო, როდესაც „იგი“ (ყოველთვის აღფრთოვანებით იხსენებდა იმ ღამეს და ქალს, ამჟამად დედა ანგიას) მას აცდუნებდა. ქალი იმ სუფთა წყალს დაეწაფა. მაგრამ მას შემდეგ წყარო ჯერ შევსებულიც არაა, რომ მწყურვალნი მოდიან, ერთმანეთს აწვებიან, მუჯღუგუნებს ჰკრავენ. იქაურობა ისე გადათელეს, რომ მხოლოდ სიბინძურე დარჩა“. ასე ფიქრობდა იგი იშვიათ ნათელ წუთებში; მაგრამ მისთვის ყველაზე ჩვეულებრივი მდგომარეობა დაღლილობა და ამ დაღლილობის გამო საკუთარი თავის მიმართ გულაჩვილება იყო.

ზაფხული იდგა, ერგასის განზოგების დღესასწაულის<sup>1</sup> წინა დღე. მამა სერგი თავის გამოქვაბულის ტაძარში ღამის წირვას ასრულებდა. იმდენი ხალხი იყო, რამდენიც ეტეოდა — ოცამდე ადამიანი. ყველანი ბატონები და ვაჭრები — მდიდ-

---

<sup>1</sup> ერგასის განზოგება (განახევრება), ერგასის შუა პერიოდი, აღდგომიდან 25-ე დღე.

რები იყვნენ. მამა სერგი ყველას უშვებდა, მაგრამ არჩევას მისთვის მიჩენილი ბერი და მონასტრიდან მის სენაკში ყოველდღიურად გამოგზავნილი მორიგე ახორციელებდნენ. ოთხმოცამდე მწირი, ძირითადად ქალები, მამა სერგის გამოსვლასა და დალოცვას გარეთ ელოდებოდა. იგი სწირავდა და როდესაც გამოვიდა და თავისი წინამორბედის სამარეს უფლის სადიდებელი სიტყვებით მიუახლოვდა, შექანდა და დაეცემოდა კიდევ, იქვე მდგარ ვაჭარსა და დიაკვნის მოვალეობის შემსრულებელ ბერს ხელი რომ არ შეეშველებინათ.

— რა დაგემართათ? მამაო! მამაო სერგი! გენაცვალე! ღმერთო ჩემო! — გაისმა ქალების ხმა, — ზენარივით გაფითრდით.

მაგრამ მამა სერგი უცებ მომჯობინდა და თუმცა ფერი დაეკარგა, ვაჭარი და ბერი ხელით გვერდზე გასწია და გალობა განაგრძო. მამა სერაპიონმა, დიაკონმა, მედავითნებმა და ქალბატონმა სოფია ივანოვნამ, რომელიც იქვე, ახლოში ცხოვრობდა და მამა სერგის უვლიდა, სთხოვეს, რომ ღვთისმსახურება შეენწყვიტა.

— არაფერია, არაფერი, — ოდნავი ღიმილით წარმოთქვა მამა სერგიმ, — წირვა არ შეწყვიტოთ.

„ჰო, წმინდანები ასე იქცეოდნენ“, — გაიფიქრა მან.

— წმინდანია! ღვთიური ანგელოზი! — მაშინვე მოესმა უკნიდან სოფია ივანოვნასა და იმ ვაჭრის ხმა, რომელმაც ხელი შეაშველა. მან რჩევას ყური არ დაუგდო და წირვა განაგრძო. შეჯგუფული ხალხი ვინრო დერეფნებით უკან, პატარა ეკლესიასთან დაბრუნდა, სადაც მამა სერგიმ ღამის წირვა დაასრულა, თუმცა ოდნავ კი შეამოკლა.

შემდეგ მან შიგნით მყოფნი დალოცა, გარეთ გავიდა და გამოქვაბულის შესასვლელთან, თელეების ჩრდილში მდგარ სკამზე ჩამოჯდომა, სუფთა ჰაერის გადაყლაპვა და დასვენება დააპირა — გრძნობდა, რომ ეს მისთვის აუცილებელი იყო, მაგრამ მაშინვე ბრბოს ალყაში მოექცა. ხალხი ლოცვა-კურ-

თხევას, რჩევასა და დახმარებას სთხოვდა. აქ იყვნენ მწირი ქალები, რომლებიც გამუდმებით გადადიოდნენ ერთი წმინდა ადგილიდან მეორეზე, ერთი ბერიდან მეორესთან, და ყოველი სინმინდის ან მოხუცებული ბერის დანახვაზე გული უჩვილდებოდათ. მამა სერგი კარგად იცნობდა ამ ჩვეულებრივ, ყველაზე არარელიგიურ, ცივ, პირობით ტიპს; მწირი მამაკაცების უმრავლესობას შეადგენდნენ ყოფილი ჯარისკაცები, ერთ ადგილას მუდმივ ცხოვრებას გამოქცეულები, გაჭირვებული და სმას გადაყოლილი, ყოველდღიური ლუკმისთვის მონასტრიდან მონასტერში მოხეტიალე მოხუცები; აგრეთვე ულიმლამო გლახკაცები და დედაკაცები, ეგოისტურად რომ ითხოვდნენ განკურნებას ან ისეთ ყველაზე პრაქტიკულ საქმეებში ეჭვების უკუყრას, როგორცაა ქალიშვილის გათხოვება, ფარდულის ქირაობა, მიწის ყიდვა ან გაგუდული ან უკანონოდ გაჩენილი ბავშვის გამო ცოდვის მოხსნა. ეს ყველაფერი მამა სერგიმ მშვენივრად იცოდა და არ აინტერესებდა. დარწმუნებული იყო, რომ მათგან ახალს ვერაფერს შეიტყობდა, რომ ისინი მასში ვერანაირ რელიგიურ გრძნობას ვერ აღძრავდნენ, მაგრამ უყვარდა მათი, როგორც ბრბოს დანახვა, რომლებსაც იგი, მისი დალოცვა და სიტყვები სჭირდებოდათ და ეძვირფასებოდათ. ამიტომაც ერთდროულად უმძიმდა და სიამოვნებდა კიდევ მათთან ურთიერთობა. მამა სერაპიონმა მათ ერთი კი დაუცაცხანა, უთხრა, რომ მამა სერგის უნდა დაესვენა, მაგრამ ამ უკანასკნელს სახარების სიტყვები გაახსენდა: „ნუ შეუშლით მათ (ბავშვებს) ხელს, რომ ჩემთან მოვიდნენ“, ამის გახსენებაზე საკუთარი თავის გამო გული აუჩუყდა და განაცხადა, ყველა შემოუშვითო.

იგი წამოდგა, მოაჯირს მიუახლოვდა, სადაც ისინი შეგროვილიყვნენ, და სუსტი ხმით, რომელიც ძალიან მოსწონდა, მათ დალოცვასა და შეკითხვებზე პასუხის გაცემას შეუდგა. მაგრამ, სურვილის მიუხედავად, ყველას მიღება მაინც ვერ შეძლო: კვლავ თვალთ დაუბნელდა, შექანდა და მოაჯირს ხე-

ლი წაავლო. სისხლი თავში მოაწვა და ჯერ გაფითრდა, მერე კი მოულოდნელად წამოენთო.

— როგორც ჩანს, ხვალამდე მოგინევთ მოცდა. ახლა არ შემიძლია, — თქვა მან, ყველა ერთად დალოცა და სკამისკენ წავიდა. ვაჭარმა ხელი შეაშველა, სკამამდე მიაცილა და დასვა.

— მამაო! — გაისმა ბრბოში, — მამაო! არ მიგვატოვო, დავილუპებით უშენოდ.

ვაჭარმა მამა სერგი თელებქვეშ, სკამზე დასვა, პოლიციელობა იკისრა და გადაჭრით შეუდგა ხალხის გაყრას. მართალია, ჩუმად ლაპარაკობდა, რათა მამა სერგის არ გაეგონა, მაგრამ სიმტკიცე და ბრაზი არ აკლდა:

— აქაურობას მოშორდით! გაეთრიეთ! ხომ დაგლოცათ, მეტი რაღა გინდათ? აბა, მოუსვით, თორემ კისერში წაგითაქებთ. მიდით, რას გაჩერებულხართ! ეს შენც გეხება, შავფეხსახვევიანო დედაკაცო. სად მოძვრები? გითხრეს, მორჩაო, რით ვერ გაიგეთ? დღეს დამთავრდა, ხვალ კი როგორც ღმერთი ინებებს.

— ნეტავ მხოლოდ ერთხელ დამანახა მისი სახე, — თქვა ვილაც დედაბერმა.

— მე შენ დაგანახებ! სად მოძვრები-მეთქი?

მამა სერგიმ შეამჩნია, რომ ვაჭარი მკაცრად მოქმედებდა და სუსტი ხმით უთხრა მსახურს, რომ ხალხი არ გაეყარათ. იცოდა, რომ ეს მაინც ასე მოხდებოდა, თვითონაც ძალიან უნდოდა მარტო დარჩენა და დასვენება, მაგრამ მსახური შთაბეჭდილების მოსახდენად გაგზავნა.

— კარგი, კარგი, კი არ გავყრი, დავარწმუნებ, — თქვა ვაჭარმა, — ეგენი რომ მიუშვა, ადამიანს ბოლოს მოულებენ. სიბრალული არ გააჩნიათ, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, გითხრეს, არ შეიძლებაო. ნადი. ხვალ მოდი.

ვაჭარმა ყველა გაყარა.

იგი ასე იმიტომ ირჯებოდა, რომ წესრიგი, ხალხის აქეთ-იქით გარეკვა და დაბრწყვება უყვარდა. მთავარი კი ის იყო,

რომ მამა სერგი სჭირდებოდა. ამ ქერივ კაცს ერთადერთი ავადმყოფი, გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, ათას ოთხასი ვერსი გამოეწლო, რათა მამა სერგის იგი განეკურნა. ორი წლის განმავლობაში ვისთვის აღარ მიემართა. ჯერ გუბერნიის საუნივერსიტეტო ქალაქის კლინიკაში ჰყავდა — ვერ უშველეს; შემდეგ სამარის გუბერნიაში წაიყვანა ვილაც კაცთან ქალიშვილს მხოლოდ ოდნავ შეუმსუბუქდა მდგომარეობა; მოსკოველ ექიმთანაც ჰყავდა, ბევრი ფულიც გადაუხადა — არაფერმა გაჭრა. ბოლოს უთხრეს, მაგას მამა სერგი თუ განკურნავსო და აქეთ გამოეშურა. ასე რომ, ხალხი რომ გაყარა, ვაჭარი მამა სერგისთან მივიდა, ყოველგვარი მომზადების გარეშე მუხლებზე დადგა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— წმინდაო მამაო, დალოცე ჩემი ავადმყოფი ქალიშვილი, განკურნე სნეულებისგან. გავკადნიერდები და შენს წმიდა ნაკვალევს შევეხები, — მან ორი პეშვი ერთმანეთთან მიიტანა. ყველაფერს ისე აკეთებდა და ამბობდა, როგორც რომელიღაც კანონის თუ ჩვეულების მიერ დადგენილს, თითქოს მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად იყო საჭირო თხოვნა ქალიშვილის განკურნების შესახებ. მისმა თავდაჯერებულობამ მამა სერგიც კი დაარწმუნა, რომ კაცი სწორად იქცეოდა. მაგრამ მაინც უბრძანა, ამდგარიყო და ისე მოეყოლა ყველაფრის შესახებ. ვაჭარმა უამბო, რომ მისი ოცდაორი წლის ქალიშვილი ავად ორი წლის წინ, დედის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ გამხდარიყო — ერთი კი დაეყვირა და თავში რაღაც გადატრიალებოდა. ჰოდა, ახლა ათას ოთხას ვერსზე მოეყვანა, სასტუმროში ჰყავდა და როცა მამა სერგი უბრძანებდა, მაშინ მოიყვანდა. ოღონდ ქალიშვილს დღის სინათლის ეშინოდა და გარეთ გამოსვლა მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შეეძლო.

— ძალიან დასუსტებულია? — ჰკითხა მამა სერგიმ.

— არა, მშვენიერ ფერ-ხორცზეა, მაგრამ როგორც ექიმმა გვითხრა, ნერვები ვერ აქვს წესრიგში. მამა სერგი რომ მიბრძანებდეს, წამში მოვიყვანდი. წმინდაო მამაო, გამოაცოცხლე

მშობლის გული, აღადგინე მისი გვარი — ლოცვით გადაურჩინე სწეული ქალიშვილი.

ვაჭარი კვლავ გამოქანებით დაეცა მუხლებზე, თავი გვერდზე გადახარა, პეშვები შეაერთა და გაირინდა. მამა სერგიმ ფეხზე წამოდგომა უბრძანა და იმაზე დაფიქრდა, თუ რაოდენ რთული საქმიანობა არგუნა ღმერთმა, რომელსაც მორჩილებით იტანდა, მძიმედ ამოიოხრა და რამდენიმეწამიანი დუმილის შემდეგ თქვა:

— კარგი, ხვალ საღამოს მოიყვანეთ. ვილოცებ მისთვის, ახლა კი დავილაღე, — მან თვალები დახუჭა, — მსახურს გამოგიგზავნით.

ვაჭარმა იქაურობა დატოვა, ფეხის წვერებზე მიაბიჯებდა, რის გამოც ჩექმები ქვიშაზე უფრო ხმამაღლა ქრაჭუნებდა. მამა სერგი მარტო დარჩა.

მამა სერგის ცხოვრება წირვითა და მნახველებით იყო სავსე, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა. დილით მნიშვნელოვანი წარჩინებული მოხელე ეწვია და დიდხანს ესაუბრა; შემდეგ — ქალბატონი თავის ვაჟთან ერთად. ეს გახლდათ ურწმუნო ახალგაზრდა, პროფესორი, რომელიც ღრმად მორწმუნე და მამა სერგის ერთგულმა დედამ აქ მოიყვანა და იგი შვილთან შეხვედრაზე დაითანხმა. მათ შორის ძალზე მძიმე საუბარი შედგა. ახალგაზრდა კაცს, როგორც ჩანს, ბერთან კამათი არ სურდა და ყველაფერში ეთანხმებოდა მას, როგორც სუსტ ადამიანს. მამა სერგი ხედავდა, რომ თანამოსაუბრეს არ სწამდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს მაინც კარგად, თავისუფლად და მშვიდად გრძნობდა. მამა სერგის ამ საუბრის გახსენებამ უკმაყოფილება მოჰგვარა.

— იქნებ გეჭამათ, მამაო, — უთხრა მსახურმა.

— კარგი, რამე მომიტანეთ.

მსახური გამოქვაბულის შესასვლელიდან ათიოდე წაბიჯში აშენებულ სენაკში შევიდა და მამა სერგი მარტო დარჩა.

დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ, რაც მამა სერგი მარტო ცხოვრობდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა და მაგარი ცომის პურისა და წყლის მეტს არაფერს ეკარებოდა. კარგა ხანია, დაარწმუნეს, რომ საკუთარი ჯანმრთელობის უგულვებლყოფის უფლება არ ჰქონდა, და სამარხვო, მაგრამ ჯანსაღ კერძებს უმზადებდნენ. ცოტას მიირთმევდა, მაგრამ უწინდელზე გაცილებით მეტს, ხშირად სიამოვნებითაც და არა ისე, როგორც ადრე — ზიზლითა და ცოდვის შეგნებით. ახლაც ასე იყო. მან შეჭამა ფაფა, ნახევარი თეთრი პური და ფინჯანი ჩაი დალია.

მსახური წავიდა, ის კი თელებქვეშ სკამზე ჯდომას განაგრძობდა.

მაისის მშვენიერი საღამო იდგა, ახლად შეფოთლილიყო არყი, ვერხვი, თელა, შოთხვი და მუხა. თელის უკან ჯერაც ყვაოდა შოთხვის ბურქები. ერთი ბულბული სულ ახლოს, ორი თუ სამი კი ქვემოთ, მდინარესთან მდებარე ბურქებში სტვენდა და გალობდა. მდინარიდან შორს ისმოდა, როგორც ჩანს, სამუშაოდან მომავალი მუშების სიმღერა. მზე ტყეში ჩაიმალა და გაფანტულ სხივებს ალაგ-ალაგ ხეებს შორის აფრქვევდა. აქეთა მხარე ღია მწვანედ მოჩანდა, მეორე კი, თელებთან, ჩამუქებულიყო. ხოჭოები დაფრინავდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ძირს ცვიოდნენ.

სადილის შემდეგ მამა სერგი გონებაში ლოცვის ჩამოყალიბებას შეუდგა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალე ჩვენ“, — ამას ფსალმუნი მოაყოლა. შუა კითხვისას, სად იყო და სად არა, ბურქიდან ბელურა გამოფრინდა, მინაზე დაეშვა და ჟივჯივითა და ხტუნვა-ხტუნვით მას მიუახლოვდა, რალაცის შეეშინდა და გაფრინდა. მამა სერგი ლოცვას წარმოთქვამდა, რომელშიც ამ ქვეყნიდან თავისი განდგომის შესახებ საუბრობდა, ცდილობდა, ჩქარა დაესრულებინა, რათა ვაჭართან მსახური გაეგზავნა ავადმყოფი ქალიშვილის მოსაყვანად. მისი ასეთი დაინტერესება იმას გამოეწვია, რომ ეს

მისთვის გასართობი, ახალი სახე იქნებოდა, თანაც მამა-შვილი მას წმინდანად თვლიდა, ისეთად, ვისი ლოცვაც აუცილებლად სრულდებოდა. ხმამალა იგი უარყოფდა ამას, მაგრამ გულის სიღრმეში თავი სწორედ ასეთად მიაჩნდა.

ხშირად გაოცებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ იგი, სტეპან კასატსკი, უჩვეულო წმინდანი და ნამდვილი სასწაულმოქმედი გახდა, მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყო, ეჭვი არ ეპარებოდა: როგორ არ ერწმუნა საკუთარი თვალით ნანახი სასწაულები, თოთხმეტი წლის დასუსტებული ბიჭით დაწყებული და მისი ლოცვით თვალახილული ბოლო დედაბრით დამთავრებული.

უცნაურად კი ჩანდა, მაგრამ ასე გახლდათ. ვაჭრის ქალიშვილი იმიტომ აინტერესებდა, რომ ახალი სახე იყო და მისი სწამდა. ამასთან მასზე თავისი განკურნების ძალა და დიდება უნდა დაემტკიცებინა. „ათასობით ვერსის სიშორიდან მოდიან, გაზეთებში წერენ, ხელმწიფემ იცის, თვით ურწმუნო ევროპაშიც კი იციან“, — ფიქრობდა იგი. მოულოდნელად საოცრად შერცხვა საკუთარი პატივმოყვარეობისა და კვლავ ლოცვას მიჰყო ხელი. „უფალო, მეუფეო ზეცათაო, ნუგეშისმცემელო, სულო ჭემშარიტებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბინისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენი. წმინდა მყვენ ხალხის ქებისგან, რომელმაც შემიპყრო“, — გაიმეორა მან და გაახსენდა, თუ რამდენჯერ ილოცა ასე და აქამდე ამო იყო მისი ლოცვები ამ კუთხით: მისი ლოცვა სხვებისთვის სასწაულს ახდენდა, თავისთვის კი ვერაფრით გამოსთხოვა ღმერთს ამ უბადრუკი ვნებისგან გათავისუფლება.

გაახსენდა თავისი ლოცვები სენაკში მოსვლის პირველ უამს, როდესაც ღმერთს სინმინდეს, მორჩილებასა და სიყვარულს შესთხოვდა, და როგორც მაშინ მოეჩვენა, ღმერთმა შეისმინა მისი ლოცვა. იგი წმინდა იყო და თითი მოიკვეთა, შემდეგ აიღო დანაოჭებული ჩამონაჭერი და ეამბორა. ეჩვე-

ნებოდა, რომ მაშინაც კი თავმდაბალი იყო, როდესაც გამუდმებით ეზიზღებოდა საკუთარი ცოდვილი თავი; სიყვარულიც შეეძლო — ახსოვდა, როგორ გულაჩვილებული შეხვდა იგი მოხუცს, მასთან ფულის სათხოვნელად მოსულ მთვრალ ჯარისკაცს. და ახლა? უყვარს კი ვინმე, თუნდაც სოფია ივანოვნა ან მამა სერაპიონი, იგრძნო თუ არა სიყვარული იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დღეს მასთან იყვნენ? სწავლულ ახალგაზრდას კი ესაუბრა, ვითომ მოძღვრავდა, სინამდვილეში კი მხოლოდ ის სურდა, რომ მისთვის საკუთარი ჭკუა და განათლების სიღრმე ეჩვენებინა. მას სიამოვნებდა, ესაჭიროებოდა მათი მხრიდან სიყვარულის გამოვლინება, მაგრამ თვითონ მათდამი სიყვარულს ვერ გრძნობდა. ახლა აღარც სიყვარული შერჩენოდა, აღარც თავმდაბლობა და აღარც სინძინდე.

ესიამოვნა იმის გაგება, რომ ვაჭრის ქალიშვილს მხოლოდ ოცდაორი წელი შესრულებოდა. ისიც აინტერესებდა, ლამაზი თუ იყო. როცა მამამისს შვილის სისუსტეებზე ეკითხებოდა, სწორედ ამას გულისხმობდა.

„ნუთუ ასე დავეცი? — გაიფიქრა მან, — ღმერთო, დამეხმარე, განმაახლე. ჩემო ღმერთო და მეუფეო“. მან გულხელი დაიკრიფა და ლოცვას შეუდგა. ბუღბუღები კვლავ სტვენდნენ. ხოჭო დააფრინდა და კეფაზე ააცოცდა. ხელით მოიშორა. „არსებობს კი ის? ამდენი ხანია, გარედან ჩაკეტილ კარზე ვაკაკუნებ... კარზე კლიტეა, შემეძლო დამენახა კიდეც ის. კლიტე — ბუღბუღები, ხოჭოები, ბუნებაა. შესაძლოა, ჭაბუკი მართალია“. იგი ხმამაღლა და დიდხანს ლოცულობდა, სანამ ეს აზრები არ გაუქრა და ისევ მშვიდი და თავის თავში დარწმუნებული არ გახდა. ზარი დარეკა და გამოსულ მსახურს უთხრა, რომ ვაჭარი და ქალიშვილი მოსულიყვნენ.

ვაჭარმა შვილი ხელკავით მოიყვანა, სენაკში შეუძღვა და მაშინვე წავიდა.

ქერათმიანი გოგონა იყო, თეთრზე თეთრი კანით, ფერმ-

კრთალი, ხორცსავესე, ძალიან დაბალი, შეშინებული ბავშვური სახითა და უალრესად განვითარებული ქალური ფორმებით. მამა სერგი კვლავაც შესასვლელთან იჯდა. როდესაც ქალიშვილი მოვიდა და მის სიახლოვეს გაჩერდა, მან იგი დალოცა, მაგრამ მეორე წამს ისე აათვალღერ-ჩაათვალღერა, რომ თვითონაც შეძრწუნდა. ქალიშვილმა გაიარა, იგი კი თავს გველნაკბენივით გრძნობდა. გოგონას სახის მიხედვით მიხვდა, რომ იგი ვნებიანი, მაგრამ ჭკუასუსტი იყო. ადგა და სენაკში შევიდა. ქალიშვილი ტაბურეტზე იჯდა და ელოდებოდა, მის დანახვაზე კი წამოდგა.

— მამასთან მინდა, — თქვა მან.

— ნუ გეშინია, — მიუგო მამა სერგიმ, — რა გტკივა?

— ყველაფერი, — უპასუხა ქალიშვილმა და უეცრად სახე ღიმილმა გაუნათა.

— გამოჯანმრთელდები, — უთხრა კაცმა, — ილოცე.

— რალა ვილოცო? ვილოცე, მაგრამ არაფერი მშველის, — იგი ისევ იღიმებოდა, — თქვენ ილოცეთ და ხელები დამადეთ. მე თქვენ სიზმარში გნახეთ.

— როგორ მნახე?

— დავინახე, როგორ დამადეთ ხელი მკერდზე, — ქალიშვილმა მისი ხელი აიღო და მკერდზე მიიკრა, — აი, აქ.

კაცმა მას თავისი მარჯვენა ხელი მისცა.

— რა გქვია? — ჰკითხა მთელი ტანით აცახცახებულმა — იგრძნო, რომ დამარცხდა, რომ ავხორცობას ველარაფერს მოუხერხებდა.

— მარია. რატომ მეკითხებით?

ქალიშვილმა მას ხელზე აკოცა, შემდეგ წელზე მოეხვია და ტანზე მიიკრა.

— რას აკეთებ, მარია? — აღმოხდა კაცს, — ეშმაკი ყოფილხარ.

— მერე რა, ცუდია?

იგი კაცს ჩაეხუტა და მასთან ერთად სანოლზე დაჯდა.

გამთენიისას მამა სერგი პარმალზე გამოვიდა.

„ნუთუ ეს მართლა მოხდა? მამამისი მოვა. ქალიშვილი ყველაფერს უამბობს. იგი ეშმაკია. როგორ მოვიქცე? აი, ის ნაჯახი, რომლითაც თითი მოვიჭერი“. — მან ნაჯახს ხელი სტაცა და სენაკისკენ გაემართა. გზაში მსახური შეხვდა.

— შეშის დაჩეხვა გსურთ? მომეცით ნაჯახი.

მამა სერგი ასეც მოიქცა. შემდეგ სენაკში შევიდა. შეძრწუნებულმა დახედა მძინარე ქალს. ოთახის სიღრმეში გლეხური სამოსი გაიხადა, ჩაიცვა, მაკრატელი აიღო, თმა შეიჭრა და მდინარისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა, რომელსაც ოთხი წელია, აღარ გაჰკარებოდა.

მდინარის გასწვრივ გამავალ გზაზე გავიდა და სადილობამდე შეუჩერებლივ იარა. შემდეგ ჭვავის ყანაში შევიდა და შიგ ჩანვა. საღამოსთვის სოფელს მიუახლოვდა, მაგრამ გვერდი აუარა და მდინარისკენ, ფლატისკენ აიღო გეზი.

ადრეული დილა იყო, მზის ამოსვლამდე ნახევარი საათი რჩებოდა. ყველაფერი ნაცრისფრად და პირქუშად გამოიყურებოდა. დასავლეთიდან განთიადისწინა ცივი ქარი ქროდა. „არა, უნდა დავასრულო. ღმერთი არ არსებობს! როგორ დავასრულო? წყალში გადავვარდე? ცურვა ვიცი, არ დავიხრჩობი. თავი ჩამოვიხრჩო? აგერ სარტყელი და აგერ ტოტი“. ეს ისე შესაძლებლად და სწრაფად განსახორციელებლად მოეჩვენა, რომ თავზარი დაეცა. ლოცვის აღვლენა უნდოდა, როგორც ამას სასონარკვეთილებაში ჩავარდნისას აკეთებდა. მაგრამ ვისთვის ელოცა? ღმერთი აღარსად იყო. იწვა, თავი ხელზე დაედო, იდაყვით კი მიწას ეყრდნობოდა. უეცრად ისე საოცრად მოუნდა ძილი, რომ ხელი გაშალა, ზედ თავი დაადო და მაშინვე ჩაიძინა. მაგრამ ეს ძილი მხოლოდ წამი გაგრძელდა; მაშინვე გაელვიდა, თუმცა ვერ გაეგო, სიზმარს ხედავდა თუ აგონდებოდა.

აი, იგი თითქმის ბავშვია, სოფელშია, დედამისის სახლში. მათთან ეტლი ჩერდება და იქიდან ბიძია, ნიკოლოზ სერგეე-

ვიჩი გადმოდის, უზარმაზარი შავი წვერი მკერდზე ნიჩაბივით ადევს. გვერდით გამხდარი გოგონა, სახელად პაშენკა მოჰყვება დიდი მშვიდი თვალებითა და საცოდავი, მორიდებული სახით. იგი მათ, ბიჭების ოთახში შემოჰყავთ. მასთან ერთად უნდა ითამაშონ, მაგრამ ეს მოსაწყენია. სულელი გოგოა. ყველაფერი იმით მთავრდება, რომ დასცინიან და აიძულებენ არვენოს, წყალში როგორ ცურავს. იგი იატაკზე წვება და უჩვენებს. ყველანი ხარხარებენ — გოგო ხომ გაამასხრეს. გოგონა ხვდება ამას, წითლდება და ისეთი, ისეთი საცოდავი ხდება, რომ მას ძალიან შერცხვება და ამიერიდან ველარასდროს დაივიწყებს მის ალმაცერ, კეთილ, თვინიერ ღიმილს. ახლა სერგი იმ დროს იხსენებს, როდესაც იგი მეორედ ნახა. ეს მრავალი წლის შემდეგ მოხდა, მისი ბერად აღკვეცის წინ. ქალი რომელიღაც მემამულეზე გათხოვილიყო, რომელსაც მისი ქონება გაენიავებინა და ხშირად სცემდა. ორი შვილი ჰყავდა — ქალაქი. ბიჭი პატარა მოუკვდა.

სერგის თვალწინ მისი უბედური სახე დაუდგა. მესამედ მონასტერში შეხვდა უკვე დაქვრივებულ ქალს. ძველებურად გამოიყურებოდა — სულელი არ ეთქმოდა, მაგრამ ულაზათო, უბადრუკი, საცოდავი შესახედაობა ჰქონდა. ქალიშვილთან და სიძესთან ერთად მოსულიყო. უკვე გაღარიბებულიყვნენ. მოგვიანებით შეიტყო, რომ იგი რომელიღაც სამაზრო ქალაქში ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. „რატომ ვფიქრობ მასზე? — ეკითხებოდა საკუთარ თავს, მაგრამ ქალი თავიდან ვერაფრით ამოეგდო, — სად არის? როგორ არის? ნუთუ კვლავაც ისეთივე უბედურია, როგორც მაშინ, იატაკზე რომ ცურავდა? რას ამეკვიატა? რატომ ამოვიჩემე? საქმე მაქვს დასამთავრებელი“.

მას ისევ შეეშინდა და სასიკვდილო აზრებს პაშენკაზე ფიქრი ამჯობინა.

დიდხანს იწვა ასე და ხან თავის აუცილებელ დასასრულზე ფიქრობდა, ხანაც — პაშენკაზე. პაშენკა ხსნად ერვენებო-

და. ბოლოს ჩაეძინა. ძილში ანგელოზი დაინახა, რომელიც მას გამოეცხადა და უთხრა: „ნადი პაშენკასთან და გაიგე მისგან, რისი გაკეთება გმართებს, რა არის შენი ცოდვა, რა არის შენი ხსნა“.

გამოელვია. მიხვდა, რომ ღმერთის ხილვა ჰქონდა, გაუხარდა და გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, როგორც ხილვაში უთხრეს. იცოდა, ქალი რომელ ქალაქშიც ცხოვრობდა, — იქამდე სამასიოდე ვერსი იყო, და იქით გაემართა.

## VIII

დიდი ხანია პაშენკა პაშენკა აღარ იყო, არამედ მოხუცებული, ჩამომხმარი, დანაოჭებული პრასკოვია მიხაილოვნა, ბედუკულმართი კაცის, გალოთებული ჩინოვნიკის, მავრიკიევის სიდედრი. იგი იმ სამაზრო ქალაქში ცხოვრობდა, სადაც სიძეს ადგილი ეშოვა, და ოჯახსაც იქ არჩენდა: ქალიშვილს, მის ავადმყოფ, ნევრასთენიკ ქმარს და ხუთ შვილიშვილს. თავი იმით გაჰქონდა, რომ მდიდრების ქალიშვილებს მუსიკაში ამეცადინებდა, საათში ორმოცდაათ კაპიკად. დღეში ოთხი-ხუთი საათი მუშაობდა, ასე რომ, თვეში სამოც მანეთამდე უფროვდებოდა. ასე ცხოვრობდნენ ადგილის მოლოდინში, რომლის შესახებაც პრასკოვია მიხაილოვნას ყველა ნათესავისა თუ ნაცნობისთვის, მათ შორის მამა სერგისთვისაც, შეტყობინება გაეგზავნა, მაგრამ ამ უკანასკნელს წერილისთვის გამოეხსნა.

შაბათი იყო და პრასკოვია მიხაილოვნა თვითონ ზელდა ცომს ქიშმიშიანი ნაზუქის გამოსაცხობად, რომელიც ასე კარგად გამოსდიოდა მამამისის ყმა მზარეულს. ხვალინდელ დღესასწაულზე შვილიშვილების გახარებას აპირებდა.

მაშა, მისი ქალიშვილი, პატარა ბავშვს უვლიდა, უფროსი ბიჭი და გოგონა სკოლაში იყვნენ. ღამენათევ სიძეს ახლახან

ჩასძინებოდა. ნუხელ პრასკოვია მიხაილოვნასაც ცოტა ეძინა, რადგან ქმარზე განრისხებული ქალიშვილის დამშვიდებას ცდილობდა.

ხედავდა, რომ მისი სიძე სუსტი არსება იყო, სხვაგვარად ლაპარაკი და ცხოვრება არ შეეძლო, იმასაც ხვდებოდა, რომ ცოლის საყვედურები ვერაფერს შეცვლიდა, ამიტომ მთელი ძალისხმევა მათ შესარბილებლად და აღმოსაფხვრელად, ბრაზის გასაქრობად მიემართა. ადამიანებს შორის ცუდი ურთიერთობა ფიზიკურ ტკივილს აყენებდა, კარგად აცნობიერებდა, რომ ეს მხოლოდ უარესს თუ მოიტანდა. შესაძლოა, ამას არც ფიქრობდა — უბრალოდ ისე იტანჯებოდა ბრაზისა და გულისწყრომის დანახვაზე, როგორც ცუდი სუნის, მკვეთრი ხმაურის, სხეულზე დარტყმის შემთხვევაში.

იგი თავმომწონედ ასწავლიდა ლუკერიას აფუებული ცომის მოზელას, როდესაც მასთან წინსაფარაფარებულმა, დაკემსილწინდებიანმა მიშამ, ექვსი წლის დაბრეცილფეხებიანმა შვილიშვილმა მიირბინა და შეშინებული სახით უთხრა:

— ბებია, ვილაც საშინელი მოხუცი გეძებს.

ლუკერიამ გაიხედა:

— მართალია, ვილაც მწირი მოსულა, ქალბატონო.

პრასკოვია მიხაილოვნამ გამხდარი იდაყვები ერთმანეთს გაუსვა, ხელები წინსაფარზე შეინმინდა და სახლში შესვლა დააპირა, რათა საფულედან ხუთი კაპიკი ამოეღო და მათხოვრისთვის მიეცა, თუმცა გაახსენდა, რომ ორშაურთანზე ნაკლები არ ჰქონდა. გადანყვიტა, სანაცვლოდ პური მიეცა და კარადასთან დაბრუნდა, მაგრამ უეცრად თავი დამნაშავედ იგრძნო, კაპიკები რომ დაენანა და განითლდა, ლუკერიას პურის მოჭრა უბრძანა, თვითონ კი ორშაურიანის ჩამოსატანად ზედა სართულისკენ გაეშურა. „ესეც შენი სასჯელი, — უთხრა საკუთარ თავს, — ახლა ორმაგის მიცემა მოგიწევს“.

მან ერთიცა და მეორეც ბოდიშის მოხდით მისცა მწირს,

საკუთარი გულუხვობით ოდნავაც არ ამაცობდა, პირიქით, კაცს ისეთი მრავალმეტყველი სახე ჰქონდა, რომ შერცხვა კიდევ, რა ცოტას ვაძლევო.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს სახელით სამასი ვერსი გაეწვლო, ტანსაცმელი შემოხეოდა, გამხდარიყო, გაშავებულყო, თმაშეკრეჭილს გლახური ქუდი და ჩექმები ეცვა, მიუხედავად იმისა, რომ თავს მდაბლად ხრიდა, სერგის კვლავაც შერჩენოდა მრავალმეტყველი შესახედაობა, ასე რომ იზიდავდა ყველას ყურადღებას. მაგრამ პრასკოვია მიხაილოვნამ იგი ვერ იცნო. აბა რაღას იცნობდა, როცა თითქმის ოცდაათი წელი გასულიყო.

კაცმა პურიც გამოართვა და ფულიც. ქალს გაუკვირდა, რომ იგი არ მიდიოდა, იდგა და მას მისჩერებოდა.

— პაშენკა, მე შენთან მოვედი. მიმიღე.

შესანიშნავი შავი თვალები დაჟინებით და ვედრებით შესცქეროდა ქალს, აი, შიგ ცრემლებიც აკიაფდა, ჭალარაშეპარული უღვაშის ქვეშ კი ტურები აცახცახდა შესაბრალისად.

პრასკოვია მიხაილოვნამ ხელები ჩამომჭკნარ მკერდზე იტაცა, პირი დაალო და თვალები მწირის სახეს მიაპყრო.

— შეუძლებელია! სტიოპა! სერგი! მამა სერგი!

— დიახ, სწორედ ის, — წყნარად ჩაილაპარაკა სერგიმ, — ოღონდ არა სერგი, არა მამა სერგი, არამედ უდიდესი ცოდვილი სტეპან კასატსკი, დაღუპული, უდიდესი ცოდვილი. მიმიღე და დამეხმარე.

— შეუძლებელია, ასეთ თავმდაბლობას როგორ მიაღწიეთ? წამოდით, წამომყევით.

ქალმა ხელი გაუნოდა, კაცმა კი თითქოს ვერ შეამჩნია და ისე გაპყვა.

მაგრამ სად წაეყვანა? პატარა ბინა იყო. თავდაპირველად მას ნამცეცა ოთახი დაუთმეს, თითქმის საკუჭნაო, მაგრამ შემდეგ ისიც ქალიშვილს მისცა. ახლა იქ მაშა იჯდა და პატარა ბავშვს არწევდა.

— აქ დაბრძანდით, ახლავე, — უთხრა სერგის და სამზარეულოში მდგარ სკამზე მიუთითა.

სერგი მაშინვე დაჯდა და ჩვეული მოძრაობით ჩანთა ჯერ ერთი მხრიდან მოიხსნა, შემდეგ — მეორიდან.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა საოცარი თავმდაბლობაა, მამაო! ასეთი დიდება და უეცრად ასე...

სერგი არ პასუხობდა, მხოლოდ მშვიდად იღიმებოდა და ჩანთას თავის გვერდით ათავსებდა.

— მაშა, იცი, ეს ვინ არის?

პრასკოვია მიხაილოვნამ ჩურჩულით უამბო ქალიშვილს, თუ ვინ იყო სერგი, შემდეგ მათ ერთად დაცალეს მისთვის საკუჭნაო და იქიდან ლოგინი და აკვანი გამოიტანეს.

— აი, აქ მოისვენეთ. და ნუ დაგვძრახავთ. მე კი წასასვლელი ვარ.

— სად?

— გაკვეთილები მაქვს. თქმაც კი მრცხვენია — მუსიკას ვასწავლი.

— მუსიკა კარგია. მხოლოდ ერთი რამ არის, პრასკოვია მიხაილოვნა, მე ხომ საქმეზე მოვედი. როდის შევძლებ თქვენთან საუბარს?

— ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. სალამოს რომ იყოს?

— იყოს, ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს: ჩემ შესახებ არავის უთხრათ. მე მხოლოდ თქვენ გაგენდეთ. არავინ იცის, სად ვარ. ასეა საჭირო.

— აჰ, ქალიშვილს უკვე ვუთხარი.

— ჰოდა, მასაც სთხოვეთ, რომ არაფერი თქვას.

სერგიმ ჩექმები გაიძრო, დანვა და მაშინვე ჩაეძინა უძილო ღამისა და ფეხით ორმოცი ვერსის გავლის შემდეგ.

როდესაც პრასკოვია მიხაილოვნა დაბრუნდა, სერგი თავის ოთახში იჯდა და მას ელოდებოდა. სადილად არ გამოსულა, მხოლოდ ლუკერიას მიერ მოტანილი სუპი და ფაფა შეჭამა.

— შეპირებულზე ადრე მოხვედი? — ჰკითხა სერგიმ, — შეგვიძლია ვილაპარაკოთ?

— ეს რა ბედნიერება მენვია, რა სტუმარი. გაკვეთილიც კი გავაცდინე. მერე... სულ ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, გწერდით კიდევ და უეცრად ასეთი სიხარული.

— პაშენკა! ის, რასაც ახლა გეტყვი, აღსარებასავით მიიღე, როგორც ღმერთისთვის სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები. პაშენკა! წმინდანი არ გეგონო, არც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი: ცოდვილი ვარ, ბინძური, საზიზღარი, ზნედაცემული, ამაყი ცოდვილი, ყველა ცუდზე უცუდესი.

თავდაპირველად პაშენკა თვალდაჭყეტილი შესცქეროდა: დაიჯერა მისი ნათქვამი. ბოლოს კი ხელზე შეეხო და საცოდავი ღიმილით უთხრა:

— სტივა, იქნებ აჭარბებ?

— არა, პაშენკა. მრუში ვარ, მკვლელი, ღვთის მგმობი და მატყუარა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის? — შეიცხადა პრასკოვია მიხაილოვნამ.

— მაგრამ ხომ უნდა ვიცხოვრო. და აღმოჩნდა, რომ მე, რომელიც ვფიქრობდი, ყველაფერი ვიცი-მეთქი და სხვებს ცხოვრებას ვასწავლიდი, არაფერი მცოდნია და ახლა შენ გთხოვ, რომ მასწავლო.

— რას ამბობ, სტივა, დამცინი? ყოველთვის რატომ დამცინით?

— კარგი, კარგი, დაგცინი: შენ მხოლოდ ის მითხარი, როგორ ცხოვრობ და როგორ ცხოვრობდი?

— როგორ? ყველაზე ცუდი და საზიზღარი ცხოვრება გავატარე, ახლა კი ღმერთი მსჯის და ახიცაა ჩემზე. ისე ცუდად ვცხოვრობ, ისე ცუდად...

— როგორ გათხოვდი? ქმარს როგორ შეენყვე?

— ყველაფერი ცუდად იყო. გავთხოვდი — შემიყვარდა. მამა წინააღმდეგი იყო. არ დავუჯერე და ცოლად გავყევი. მაგ-

რამ იმის მაგივრად, რომ ქმარს დავხმარებოდი, ეჭვიანობით გავანამე, რომელსაც საკუთარ თავში ვერაფრით ვძლიე.

— გავიგე, სვამდაო.

— ეგრე იყო, მაგრამ უნდა დამემშვიდებინა, მე კი სულ ვსაყვედურობდი. ეს კი ავადმყოფობაა. ის თავს ველარ იკავებდა, მე კი მახსოვს, რომ ვუმალავდი. საშინელი სცენები გვქონდა.

ქალმა კასატსკის მშვენიერი, მოგონებებისგან განანამებული თვალები მიაპყრო.

კასატსკის გაახსენდა, როგორ უყვებოდნენ, რომ ქმარი პაშენკას სცემდა. შეჰყურებდა ქალის გამხდარ, გამომშრალ კისერს, ყურებს უკან გამობერილ ძარღვებს, ნახევრად ჭაღარა, ნახევრად ქერა მეჩხერ თმას, და თითქოს ხედავდა, ეს როგორ ხდებოდა.

— შემდეგ მარტო დავრჩი ორ ბავშვთან ერთად ყოველგვარი საარსებო წყაროს გარეშე.

— მამული ხომ გქონდათ.

— ის ჯერ კიდევ ვასიას სიცოცხლეში გავყიდეთ და ყველაფერი... შევჭამეთ. უნდა გვეცხოვრა, მე კი არაფერი ვიცოდი სხვა ჩემნაირი ქალიშვილების მსგავსად. მაგრამ განსაკუთრებით ცუდი და უმწეო ვიყავი. ასე ვხარჯავდით უკანასკნელ კაპიკებს, შვილებს ვასწავლიდი — ცოტა რამ თვითონაც ვისწავლე, მეოთხე კლასში კი მიტია ავად გამიხდა და ღმერთმა თავისთან წაიყვანა. მანერკას ვანია — სიძე შეუყვარდა. კარგი კაცია, ოღონდ უბედური. ავადმყოფია.

— დედა, --- გაანყვეტინა ქალიშვილმა, — მიშას მიხედეთ, თორემ ორად ვერ გავიჭრები.

პრასკოვია მიხაილოვნა შეკრთა, წამოდგა, სწრაფად გავიდა კარში დაკერებული ფეხსაცმლით და წამსვე დაბრუნდა, ხელში ორი წლის ბიჭი ეჭირა, რომელიც სხმარტალეზა და პატარა ხელები მისთვის თავსაფარში წაეწყო.

--- რაზე გავჩერდი? ჰო, კარგ ადგილას მუშაობდა, უფ-

როსიც მშვენიერი ჰყავდა, მაგრამ ვანამ მუშაობა ველარ შეძლო და სამსახური მიატოვა.

— რა სჭირს?

— ნევრასთენია, საშინელი ავადმყოფობაა. ვითათბირეთ კიდევ, უნდა წავსულიყავით, თუმცა ფული არ გვაქვს. მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ თავისით გაუვლის. ტკივილმაც უკლო, ოღონდ...

— ლუკერია! — გაისმა კაცის გაბრაზებული, სუსტი ხმა, — როცა გჭირდება, მაშინ გაგზავნიან ხოლმე სხვაგან. დედა!..

— ახლავე, — გასძახა პრასკოვია მიხაილოვნამ, — ჯერ არ უსადილია. ჩვენთან ერთად ვერ ჯდება.

იგი გავიდა, რალაც მოაგვარა და დაბრუნდა, თან მზემოკიდებულ გამხდარ ხელებს იმშრალებდა.

— აი, ასე ვცხოვრობ. სულ ვწუნუნებთ, უკმაყოფილო ვართ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კარგი, ჯანმრთელი შვილიშვილები მყავს და ცხოვრება კიდევ შეიძლება. რა არის, რომ სულ ჩემზე ვლაპარაკობთ.

— შემოსავალი თუ გაქვთ?

— ცოტ-ცოტას ვმუშაობ. მენატრებოდა მუსიკა და აგერ, გამომადგა კიდევ.

მას პატარა ხელი კომოდზე დაედო, რომლის გვერდითაც იჯდა და გამხდარი თითები სავარჯიშოსავით აათამაშა.

— გაკვეთილში რამდენს გიხდიან?

— ხან მანეთს, ხან ორმოცდაათ კაპიკს, ზოგჯერ ოცდაათს. ძალიან კეთილი ხალხია.

— წარმატებას თუ აღწევენ? — ჰკითხა კასატსკიმ და თვალებით ოდნავ გაიღიმა.

პრასკოვია მიხაილოვნა ასეთ სერიოზულ შეკითხვას არ ელოდა და კაცს გაოცებით შეხედა.

— წარმატებებიც აქვთ. ერთი ძალიან კარგი გოგოა, ყასბის შვილი. კეთილი, მშვენიერი ბავშვია. მე რომ რიგიანი ქალი

ვიყო, მაშინ, ცხადია, მამაჩემის კავშირების წყალობით, სიძეს კარგ სამსახურში მოვანწყობდი. მე კი არაფერი ვიცოდი და აი, აქამდე მოვედით.

— დიახ, დიახ, — ჩაილაპარაკა თავდახრილმა კასატსკიმ, — პაშენკა, საეკლესიო ცხოვრებაში თუ მონაწილეობთ? — ჰკითხა მან.

— ოჰ, ნულარ მეტყვიით. ძალიან ცუდად, ძალიან ნაკლებად. ბავშვებთან ერთად ვმარხულობ და ეკლესიაშიც დავდივარ, მაგრამ ზოგჯერ თვეობით ვერ შევდივარ. პატარებს ვაგზავნი.

— თქვენ რატომ არ მიდიხართ?

— რალა დაგიმალოთ, — განითლდა ქალი, — დახეული სამოსით ქალიშვილისა და შვილიშვილების გვერდით გავლა მრცხვენია, ახალი კი არ მაქვს. იქნებ მეზარება კიდევ.

— სახლში თუ ლოცულობთ?

— ვლოცულობ, მაგრამ ეს რა ლოცვაა, ისე, ანგარიშმიუცემლად. ვიცი, რომ ასე არ უნდა, მაგრამ როცა ნამდვილი გრძნობა არ არის და თვალწინ მხოლოდ საკუთარი სისაძაგლე გიდგას...

— დიახ, დიახ, ასეა, ასე, — თითქოს მონონებით გამოეხმაურა კასატსკი.

— ახლავე, ახლავე, — გასძახა მან ისევ სიძეს, თავსაფარი გაისწორა და ოთახიდან გავიდა.

ამჯერად დიდი ხნით შეყოვნდა. როცა დაბრუნდა, კასატსკი ისევ იმავე პოზაში იჯდა, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა და თავი ჩაეჩინდრა. ჩანთა ზურგზე მოეგდო.

მან უთალფაქო ლამპით შემოსულ ქალს თავისი მშვენიერი, დაღლილი თვალები მიაპყრო და ღრმად, ძალიან ღრმად ამოიოხრა.

— მათთვის არ გამიმხელია, ვინ ხართ, — დაინყო ქალმა მორიდებით, — მხოლოდ ის ვუთხარი, კეთილშობილი მწირიამეთქი. სასაღილოში წავიდეთ, ჩაი მიირთვი.

— არა...

-- მაშინ აქ მოვიტან.

— არა, საჭირო არ არის. ღმერთი შეგენიოს, პაშენკა. მე წავალ. თუ გებრალეები, არავის უთხრა, რომ მნახე. ცოცხალ ღმერთს გაფიცებ: არავის უთხრა... გმადლობთ. ფეხებში ჩაგვივარდებოდით, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეგაცბუნებს. მადლობელი ვარ, მაპატიე, ღვთის გულისთვის.

— დამლოცეთ.

-- ღმერთი დაგლოცავს. მაპატიე, ღვთის გულისთვის.

მას წასვლა უნდოდა, მაგრამ ქალმა შეაყოვნა და პური, ბლითები და კარაქი გამოუტანა. კაცმა გამოართვა და გარეთ გავიდა.

ბნელოდა, ამიტომ ჯერ ორი სახლიც არ გაევილო, რომ ქალი ველარ ხედავდა და მხოლოდ დეკანოზის ძაღლის ყეფით ხვდებოდა, რომ იგი გზას აგრძელებდა.

„აი, თურმე რას ნიშნავდა ჩემი სიზმარი. პაშენკა სწორედ ის ადამიანია, როგორც უნდა ვყოფილიყავი და არ ვიყავი. მე ადამიანებისთვის ვცხოვრობდი ღვთის სახელით, ის კი ღმერთისთვის ცხოვრობს, მაგრამ ჰგონია, რომ ამას ხალხისთვის აკეთებს. დიახ, ერთი კეთილი საქმე, ერთი ჭიქა წყალი, ყოველგვარ ჯილდოზე ფიქრის გარეშე მიწოდებული, უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემ მიერ ქმნილი ყველა სიკეთე. მაგრამ მცირე გულწრფელი სურვილი ხომ მაინც მქონდა ღმერთისთვის მსახურებისა?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს და პასუხობდა: „დიახ, მაგრამ ეს ყველაფერი წაიბილწა, ადამიანთა ქებას, სახელის მოხვეჭამ გადაფარა. არ არის ღმერთი მისთვის, ვინც ჩემსავით დიდებისთვის ცხოვრობდა. უნდა წავიდე და ვიპოვო იგი“.

და იგი წავიდა, როგორც პაშენკამდე მიაღწია, ისე მიდიოდა სოფელ-სოფელ, გზაზე მრავალ მწირ კაცსა თუ ქალს შეხვ-

და და დაშორდა, ქრისტეს სახელით პურსა და ლამის გასათევს თხოულობდა. იშვიათად თუ გალანძღავდა ბრაზიანი დიასახლისი ან ნასვამი გლეხკაცი, მაგრამ უმეტესწილად აჭმევდნენ, ასმევდნენ, საგზალსაც ატანდნენ. მისი წარმოსადეგი გარეგნობა ზოგიერთს მის სასარგებლოდ განაწყობდა, ზოგს კი პირიქით, ყოფილი ბატონის უკიდურესი გალარიბება უხაროდა. მაგრამ მისი თვინიერება ყველას ამარცხებდა.

ხშირად, როცა სახლში სახარებას წააწყდებოდა, ხმამაღლა კითხულობდა და ამ დროს ყველგან და ყოველთვის ხალხს გული უჩვილდებოდა და გაოცებას ვერ მალავდა, რომ მათთვის ნაცნობი სიტყვები მისი ბაგეებიდან ახლებურად ესმოდათ.

თუ შემთხვევა მიეცემოდა და ადამიანებს რჩევით ან განსწავლულობით ეხმარებოდა, ან მოჩხუბრებს შეარიგებდა, მათ მადლიერებას ვერ ხედავდა, რადგან იქაურობას წამსვე გაეცლებოდა ხოლმე. და თანდათანობით მასში ღმერთმა იჩინა თავი.

ერთხელ ორ დედაბერთან და ჯარისკაცთან ერთად მიდიოდა. გზაზე საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი მგზავრები შემოხვდნენ. შარაბანში, რომელშიც ქალბატონი და, როგორც ჩანს, ფრანგი მოგზაური ისხდნენ, ჩორთით მოსიარულე ცხენი შეებათ, უკან ცხენზე ამხედრებული ქალბატონის ქმარი და ქალიშვილი მიჰყვებოდნენ. ისინი შეჩერდნენ, რათა უცხოელისთვის *leg pelerins*<sup>1</sup> ეჩვენებინათ, რომლებიც, რუსი ხალხისთვის დამახასიათებელი ცრურწმენის მიხედვით, მუშაობის ნაცვლად ერთი ადგილიდან მეორისკენ გადაადგილდებოდნენ.

მგზავრები ფრანგულად საუბრობდნენ და ეგონათ, რომ მათი არავის ესმოდა.

---

<sup>1</sup> *leg pelerins* — მწირები (ფრ.).

— Demandez leur, — თქვა ფრანგმა, — s'ils sont bien surs de ce que leur pelerinage est agreable a Dieu<sup>1</sup>.

მათ ჰკითხეს. დედაბრებმა უპასუხეს:

როგორც ამას ღმერთი მიიღებს. ფეხებით კი, მაგრამ აი, გულით თუ ვიქნებით?

შემდეგ სალდათს დაუსვეს შეკითხვა. მან თქვა, მარტო-ხელა ვარ და სხვა გზა არ მაქვსო.

ამის მერე კასატსკით დაინტერესდნენ. ვინ ხარო, ჰკითხეს.

— მონა ღვთისა.

— Qu'est ce qu'il dit? Il ne repond pas.

— Il dit qu'il est un serviteur de Dieu.

— Cela doit etre un fils de pretre. Il a de la race. Avez-vous de la petite monnaie<sup>2</sup>?

ფრანგს ჯიბეში ხურდა აღმოაჩნდა. ამოიღო და ყველას ოც-ოცი კაპიკი დაურიგა.

— Mais dites leur que ce n'est pas pour de cierges que je leur donne, mais pour qu'ils se regatent de the; ჩაი, ჩაი, — გაიღიმა მან, pour vous, mon vieux<sup>3</sup>, — თქვა და ხელთათმნიანი ხელი კასატსკის მხარზე მოუთათუნა.

— ღმერთო, შენ გვიშველე, — მიუგო კასატსკიმ და გამელოტებული თავი ქუდის დაუხურავად მდაბლად დაუკრა.

კასატსკის ეს შეხვედრა განსაკუთრებით გაუხარდა, რადგან ხალხის აზრი არად ჩააგდო და ყველაზე მარტივად და

---

1 *ჰკითხეთ, მტკიცედ სწამთ თუ არა, რომ ღმერთს მათი მომლოცველობა სურს (ფრ.).*

2 *რა თქვა? არ პასუხობს.*

*თქვა, რომ ღვთის მონაა.*

*მღვდლის შეილი უნდა იყოს. ჯიბი იგრძნობა. ხურდა ხომ არ გაქვთ? (ფრ.).*

3 *უთხარით, რომ ამას სანთლებისთვის კი არ ვაძლევ, არამედ ჩაით პირის ჩასატკბარუნებლად... თქვენთვის, ბაბუა (ფრ.).*

უბრალოდ მოიქცა — მორჩილად აილო ოცი კაპიკი და ამხანაგს, ბრმა მათხოვარს მისცა. რაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის აზრს, მით უფრო ძლიერად იგრძნობოდა ღმერთი.

რვა თვის განმავლობაში დადიოდა ასე კასატსკი, მეცხრე თვეს კი საგუბერნიო ქალაქში, თავშესაფარში დააკავეს, სადაც მწირებთან ერთად ათევედა ღამეს, და უპასპორტობის გულისთვის ნაწილში გადაიყვანეს. შეკითხვაზე, თუ სად ჰქონდა ბილეთი და ვინ იყო, უპასუხა, რომ ბილეთი არ ჰქონდა, თავი კი ღვთის მონად მიაჩნდა. იგი მანანნალად ჩათვალეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.

იქ იგი ერთ მდიდარ გლეხთან დასახლდა და ახლა იქ ცხოვრობს. მასპინძლის ბოსტანს ამუშავებს, ბავშვებს ასწავლის და ავადმყოფებს უვლის.